www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 16 აგვისტო, 2012 წელი. | №3091 (184) | ფასი 50 თეთრი

ეთნონგრევა

ცხინვალთან მდებარე ქართულ სოფლებს ანადგურებენ

მარი ახსიაშვილი

სამხრეთ ოსეთის მარიონეტმა პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა ცხინვალის ჩრდილოეთით განლაგებული ქართული სოფლების დანგრევის ბრძანება გასცა. საუბარია 2008 წლის აგვიტოს ომის დროს განსაკუთრებით დაზარალებულ სოფლებზე, კერძოდ კი 8 დასახლებულ პუნქტზე - მათ შორის არის თამარაშენი, აჩაბეთი, ქურთა და კეხვი.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ასე გამოიყურება დღეს სოფელი კეხვი.

საპარტნიორო ფონდი - უფრო თავისუფალი, ვიდრე მთავრობა

მარი ახსიაშვილი

გუშინ პრემიერმინისტრმა ვანო მერაბიშვილმა თანამშრომლებს წარუდგინა ახლად დანიშნული ენერგეტიკის მინისტრი ვახტანგ ბალავაძე, ფინანსთა მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური და საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელის მოადგილე დიმიტრი გვინდაძე. მერაბიშვილის განცხადებით, ალექსანდრე ხეთაგური ყველაზე წარმატებული მინისტრი იყო და მან საქართველოს ენერგეტიკაში ყველაზე მეტი გააკეთა.

"ქვეყნის მთავარი პრობლემა უშუქობა იყო. ჯერ ნიკა გილაურის და შემდეგ ხეთაგურის მინისტრობის პერიოდში ეს მოგვარდა. საქართველო იდგა საფრთხის ქვეშ, რომ ქვეყანაში გაზის ფასი 1000 კუბურ მეტრზე 500-600-700 დოლარი ყოფილიყო, თუმცა ნავთობის არამწარმოებელი ქვეყნებიდან საქართველოში გაზი ყველაზე იაფია. რაც მთავარია, ჩვენთან დაცულია ენერგეტიკული უსაფრთხოება. მიუხედავად იმისა, რომ ვიყავით ბლოკადაში, ვაწარმოებდით ფიზიკურ ომს, ჩვენ წინააღმდეგ მომართული იყო ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგე - წლების მანძილზე ენერგეტიკული მონოპოლისტი კავკასიის რეგიონში - საქართველოს მოქალაქეებს დღეს არა აქვთ არავითარი შეფერხება ელექტროენერგიის თვალსაზრისით, საქართველოს აქვს სტაბილური გაზი," - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

გაჭიანურებული კონფლიქტი სირიაში

ხათუნა გაბიევი

დამასკოში არნახული მასშტაბის აფეთქება იმ სასტუმროსთან მოხდა, სადაც გაერო-ს დამკვირვებელთა მისია ცხოვრობს. სირიის სახელმწიფო ტელევიზიის ცნობით, დაშავებულია სამი პირი, მაგრამ არც ერთი მათგანი მისიის წევრი არ არის. აფეთქება სასტუმროს ახლოს მდებარე ავტოსადგომზე მოხდა. ზუსტი დეტალები უცნობია, ერთი ვერსიით, ინციდენტი საწვავით დატვირთული მანქანის შეჯახებამ გამოიწვია, მეორე ვერსიით კი, ჩამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

მასობრივი არეულობა საფრანგეთის ჩრდილოეთში

სალომე ჭანიაშვილი

მასობრივი არეულობის დროს, რომლის მონაწილეებიც, ძირითადად, იყვნენ ახალგაზრდები იმიგრანტების წრიდან, ოცამდე პოლიციელი დაშავდა; რამდენიმე შენობა და მანქანა დაიწვა. ქალაქ ამიენში, საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში არეულობა ორი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა.

ამბოხებულ ახალგაზრდებთან შეტაკების დროს 16-მა პოლიციელმა ტრავმები და ჭრილობები მიიღო. არეულობის მონაწილეებმა დაწვეს საბავშვო ბაღი, სკოლა და ახალგაზრდული სპორტული ცენტრი, ასევე დაახლოებით 15 მანქანა.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6421	↓
1 ევრო	2.0287	↓
1 ინგლისური გირვანქა	2.5776	↓
1 თურქული ლირა	0.9150	↓
100 რუსული რუბლი	5.1681	↓

თბილისი	36°C - 23°C
ქუთაისი	32°C - 22°C
თელავი	36°C - 17°C
ზუგდიდი	30°C - 20°C
ბათუმი	26°C - 21°C

ნავთობი	3.06	+0.02	+0.76%
გაზი	2.76	-0.07	-2.68%
ოქრო	1,603.60	+3.20	+0.20%
ხორბალი	848.75	+9.00	+1.06%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

რა ღირს ოლიმპიური ოქრო

ლონდონის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ბევრს საუბრობდნენ იმაზე, თუ რომელი ქვეყანა რამდენს გადაუხდიდა სპორტსმენს ოლიმპიური ოქროს მოგებაში. ოლიმპიური თამაშები დასრულდა და ახლა უკვე შეიძლება იმის თქმა, თუ ვის რა ღირს ოლიმპიური ოქრო. გთავაზობთ გამოცემა totalprosports.com-ის ვერსიას, რომლის მიხედვითაც ამ მხრივ საქართველო პირველობას არავის უთმობს.

23.დიდი ბრიტანეთი - 0 დოლარი

როგორც ჩანს, ოლიმპიური თამაშების მასპინძლებმა სრულად იხელმძღვანელეს ილიმპიური პრინციპებით და ამჯერად გამარჯვებულებს ბონუსები არ დაუწესეს.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

ჯეიმს ჯოისი კიდევ ერთხელ და ქართულად

ბელა ჩეკურიშვილი

ჯეიმს ჯოისი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ავტორია და ერთ-ერთი ყველაზე დიდი გავლენის მქონე მეოცე საუკუნის ლიტერატურაზე. შესაბამისად, ქართულ ენაზე მისი თარგმნა და გამოცემა, მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართველი მთარგმნელების, მწერლებისა და მკითხველებისთვის. ნიკო ყიასაშვილისეული "ულისეს" სრული ვერსიის ფეხდაფეხ, რომელიც "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ" ახლახან გამოსცა, "არტანუჯმა" ჯოისის კიდევ ერთი რომანის თარგმანი შემოგვთავაზა. "ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას" ის ნაწარმოებია, რომელიც ჯოისმა მოთხრობების კრებულ "დუბლინელების" გამოცემის შემდეგ დაწერა "ულისემდე". ხოლო ვინაიდან ქართულ ენაზე უკვე არსებობს "დუბლინელები" და "ულისე", ამ თარგმანით უკვე შეგვიძლია ერთგვარად თვალი გავადევნოთ ჯოისის შემოქმედების განვითარებას, მით უფრო, რომ გამომცემლობა "არტანუჯი" აქვე გვთავაზობს ჯეიმს ჯოისის ერთადერთ პიესას "გაძევებულნი.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

დავით ბაქრაძემ სამცხე-ჯავახეთში მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა

პარლამენტის თავმჯდომარემ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გუშინ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა.

ადიგენში კენჭს იყრის ზურაბ ჩილინგარაშვილი, ასპინძაში - ტარიელ ლონდარიძე, ახალქალაქში კი - სამუელ პეტროსიანი.

დავით ბაქრაძემ, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენის პარალელურად, მოსახლეობას "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პროგრამა გააცნო.

მაჟორიტარობის კანდიდატები პირობას დებენ, რომ გამარჯვების შემთხვევაში, დასაქმებაზე, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობასა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე იზრუნებენ.

სიების დაზუსტების კომისიაში მონიტორინგის მექანიზმზე იმსჯელეს

სიების დაზუსტების კომისიის სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ არჩევნებამდე 16 დღის განმავლობაში და არჩევნების დღეს საარჩევნო მონიტორინგს კომისიის წევრები და რეგიონული წარმომადგენლები განახორციელებენ - სულ 32 ადამიანი. მონიტორინგი განხორციელდება ბიულეტენების ბეჭდვაზეც. სიების დაზუსტების კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის მოფიქრებისკენ მოუწოდა.

მამუკა კაციტაძის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ კომისიას უფლებამოსილების ვადა დეკემბრის ბოლომდე გაუხანგრძლივდა, ბიუჯეტის თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა. იყო საფრთხე, რომ ამას რეგიონულ წარმომადგენლობებში სტრუქტურული რეორგანიზაცია მოჰყვებოდა. მაგრამ, როგორც კაციტაძე ამბობს, რეორგანიზაცია არ მოხდება და კომისია დამატებითი სახსრების გამოყოფას ეცდება.

"ქართული ოცნების" ახალგაზრდულმა ფრთამ აქცია გამართა

"ქართული ოცნების" ახალგაზრდული ფრთის წევრებმა მთავრობის კანცელარიის წინ საპროტესტო აქცია გამართეს. მათ კახეთში დაზარალებული ოჯახებისთვის გაცემული თანხების სიმცირე გააპროტესტეს.

"ქართული ოცნების" ახალგაზრდული ფრთის წევრები მოითხოვენ, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ ბიუჯეტში გადარიცხული 80 მილიონი ლარი მთლიანად დაზარალებულ ოჯახებს მოხმარდეს.

"ჩვენ გვაქვს ძალიან კონკრეტული კითხვა - სად არის 80 მილიონი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა გადარიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში. რეალურად დღეს ეს კახელ გლეხს და იქ არსებულ მდგომარეობას არ შეხებია. ის მინიმალური ფინანსური ანაზღაურება, რომელიც, ხელისუფლების აზრით, საკმარისი იქნება, ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად შეუსაბამოა," - განაცხადა ორგანიზაციის წევრმა ცოტნე ზურაბიანმა.

ძვირფასო მკითხველო

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია - **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის უნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

კალაძე-ივანიშვილის ქონებაზე აღსრულების პროცედურები დაიწყო

დავჯარიმებული კახა კალაძის ქონებასთან დაკავშირებით იძულებითი აღსრულების პროცედურები გუშინ დაიწყო.

კახა კალაძის ადვოკატის შალვა თადუმაძის განცხადებით, აღსრულების ეროვნული ბიუროდან შესაბამისი შეტყობინება, გუშინწინ ღამის 9 საათზე მიიღო.

"სააღსრულებლო ბიურომ შეტყობინება სახლში მომიტანა, რომლის მიხედვითაც, კალაძის მიმართ დაიწყო იძულებით აღსრულება, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, კალაძეს ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდისთვის 7-დღიანი ვადა ჰქონდა, რომელიც ჯერ არ ამოწურულა. იძულებითი აღსრულების საფუძველზე კალაძის 17-მილიონიან ჯარიმას სააღსრულებლო საფასურის სახით კიდევ 1 186 147 ლარი დაემატა," - განაცხადა შალვა თადუმაძემ.

ადვოკატის თქმით, ეს კანონის დარღვევაა, რადგან აღსრულების ეროვნული ბიურო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადებს არ ემორჩილება.

"აღმასრულებელი არღვევს სასამართლოს გადაწყვეტილებას, რადგან კალაძეს არ აძლევს შესაძლებლობას, ნებაყოფლობით, ყოველგვარი სააღსრულებო საფასურის დარიცხვის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება, გადაიხადოს ან არ გადაიხადოს ჯარიმა. ეს ნიშნავს, რომ კალაძის ქონებაზე სასწრაფო წესით ხორციელდება იძულებითი ღონისძიებები," - აცხადებს კახა კალაძის ადვოკატი.

"კახა კალაძის საქმესთან დაკავშირებით სააღსრულებლო წარმოება მიმდინარეობს, მაგრამ ეს იძულებითი აღსრულების პროცესი არ არის," - კახა კალაძის ადვოკატის საპასუხოდ განაცხადა სააღსრულებლო ბიურომ, რომლის ინფორმაციითაც, სააღსრულებო პროცესი იძულებით ხასიათს იმ 7-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ მიიღებს, რომელიც კახი კალაძეს დაკისრებული ჯარიმის გადახდისთვის განესაზღვრა.

"სასამართლოდან ჩვენთან შემოვიდა სააღსრულებლო ფურცელი, რომლის შესაბამისადაც დაიწყო აღსრულების პროცესი, თუმცა ის იძულებითი ხასიათის არაა. შესაბამისად, კალაძეს სააღსრულებლო შეტყობინების ჩაბარებიდან განესაზღვრა ჯარიმის გადასახდელად 7-დღიანი ვადა," - აცხადებს აღსრულების ეროვნული ბიურო. რაც შეეხება კალაძისთვის დაკისრებულ ჯარიმაზე სააღსრულებლო საფასურის დარიცხვას, აღსრულების ეროვნული ბიურო განმარტავს, რომ **"როგორც საქმე აღსრულების ეროვნულ ბიუროში შემოდის, მას სააღსრულებო წარმოების 7 პროცენტი ემატება. ეს ჩვეულებრივი პროცესია."**

გუშინვე, დღის ბოლოს, ცნობილი გახდა, რომ სააღსრულებო პროცედურები დაიწყო "ქართული ოცნების" ლიდერის ბიძინა ივანიშვილის საქმეზეც, თუმცა არც ეს პროცედურებია იძულებითი ხასიათის. ბიძინა ივანიშვილს ჯარიმის გადახდის ვადა 18 აგვისტომდე აქვს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ კახი კალაძეს 10 აგვისტოს 17 მილიონ ლარამდე ოდენობის ჯარიმა დააკისრა და მისი ქონების დაყადაღების გადაწყვეტილება მიიღო. სასამართლომ 11 აგვისტოს ბიძინა ივანიშვილი ცნო ადმინისტრაციულ სამართადამრღვევად და უკანონო შემოწირულობების განხორციელებისთვის 20 243 827 ლარით დააჯარიმა. სასამართლომ გადაწყვეტილება, როგორც ივანიშვილთან, ისე კალაძესთან დაკავშრებით, აუდიტის სამსახურის ოქმის საფუძველზე მიიღო, რომლის მიხედვითაც, "ქართული ოცნების" ლიდერებმა საკუთარი საბანკო ანგარიშებიდან გამოტანილი ნაღდი ფული "ქართული ოცნების" შემოწირულობისთვის გამოიყენეს. აუდიტის სამსახური ივანიშვილს და კალაძეს საკუთარი ანგარიშებიდან გატანილი თანხების უკან დაბრუნებას სთხოვდა, თუმცა "ქართული ოცნების" ლიდერებმა მოთხოვნა უკანონოდ მიიჩნიეს და ის არ შეასრულეს, რის გამოც, ივანიშვილი 20 მილიონ ლარზე მეტით, კალაძე კი 17 მილიონამდე ლარით დაჯარიმდა. სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

ომბუდსმენი გამომძიებლის მიმართ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას ითხოვს

საქართველოს სახალხო დამცველმა გამომძიებელ ილია ყუფუნიას წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების რეკომენდაციით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსს მიმართა.

სახალხო დამცველის აპარატის ცნობით, ომბუდსმენს განცხადებით მიმართეს ბრალდებულ ვახტანგ ძიძიშვილის ადვოკატებმა. სახალხო დამცველის ინფორმაციით, ბრალდებულ ვახტანგ ძიძიშვილის საქმე თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროკურორო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ გენადი ბაღდასაროვისა და გამომძიებელ ილია ყუფუნიას წარმოებაშია.

"საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს მთავარი გამომძიებლის ილია ყუფუნიას მიერ, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ბრალდებულ ძიძიშვილის დაცვის უფლების დარღვევას. 2012 წლის 4 აპრილს, დაახლოებით 5 საათზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში გამოცხადდა გამომძიებელი ილია ყუფუნია, რომელიც აპირებდა ბრალდებულ ვახტანგ ძიძიშვილისთვის ბრალის წაყენებას. ბრალდებულმა მოითხოვა ადვოკატის დახმარება, რათა უკეთ გარკვეულიყო შექმნილ ვითარებაში. გამომძიებელმა ბრალდებულის კანონიერი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ის დაუკავშირდა საპროცესო ხელმძღვანელს, პროკურორ გენადი ბაღდასაროვს და მას მიანდო მდგომარეობის გარკვევა. მოგვიანებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში მივიდა პროკურორი გენადი ბაღდასაროვი, რომელმაც სცადა ვახტანგ ძიძიშვილის მიერ ბრალდების შესახებ დადგენილების ხელმოწერაზე უარის მიზეზის დადგენა. ბრალდებულმა ისევ მოითხოვა ადვოკატის დახმარება, თუმცა ამჯერადაც უშედეგოდ. ყოველივე ზემოაღნიშნული დასტურდება პროკურორ ბაღდასაროვის მიერ 2012 წლის 4 აპრილს შედგენილი ოქმით, რომელსაც ხელს აწერს გამომძიებელი ილია ყუფუნიაც, და თბილისის საქალაქო სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის 2012 წლის 5 აპრილის სხდომის ოქმით. დოკუმეტებში აღნიშნულია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილების წაყენების დროს ბრალდებული ითხოვდა ადვოკატის დახმარებას, რაც გამომძიებელმა არ დააკმაყოფილა," - აცხადებს სახალხო დამცველი, რომელიც განმარტავს, რომ თუ ბრალდებულს სურს ადვოკატის აყვანა და მისი მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმეში, ეს მისი კანონიერი უფლებაა, რაც დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს.

სახალხო დამცველის განმარტებით, ადვოკატის დახმარებით სარგებლობის უფლება სამართლიანი სასამართლოს პრინციპის ცენტრალური ელემენტია.

"ბრალდებულ ვახტანგ ძიძიშვილს ჰქონდა სურვილი ბრალდების შესახებ დადგენილების გაცნობას დასწრებოდა მისი ადვოკატი, სახეზე არ იყო უფლების შეზღუდვის უკიდურესი აუცილებლობა, მაგრამ გამომძიებელმა არ შეასრულა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები. ბრალდების შესახებ დადგენილების გაცნობის დროს ბრალდებულს არ მისცა საშუალება მოეწვია ადვოკატი, მიუხედავად ამ უკანასკნელის ღიად დაფიქსირებული ნებისა. შესაბამისად, დაარღვია "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც, გამომძიებელი თავის საქმიანობას უნდა ახორციელებდეს კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით," - აცხადებს სახალხო დამცველი, რომლის რეკომენდაცია შსს-ს გაეგზავნება.

ქალები პოლიტიკაში

სასტუმრო "რედისონ ბლუ ივერიაში" საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა - IFES გამართა ღონისძიება, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაციები მონაწილეობდნენ და სადაც განიხილეს საქართველოში ქალი პოლიტიკოსის მიმართ არსებული განწყობები და დამოკიდებულება.

ღონისძიება მიზნად ისახავდა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გზით, პოლიტიკაში ქალის ჩართულობასთან დაკავშირებული ნეგატიური სტერეოტიპების და არასწორი შეხედულებების შეცვლას.

ღონიძიება გახსნა IFES-ის პროექტის ხელმძღვანელმა საქართველოში ნერმინ ნიშიჩიმ. პრეზენტაციები წარმოადგინეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიისა და მმართველობის ოფისის დირექტორმა სუზან ქაულიმ და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ რუსუდან კერვალიშვილმა.

IFES-ის მენეჯერმა ლადო მკერვალიშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებს გააცნო ფოკუსჯგუფის კვლევის შედეგები, რომელიც ეხება ქალის, როგორც პოლიტიკური კანდიდატის და არჩეული თანამდებობის პირის მიმართ საზოგადოების განწყობებს და შეხედულებებს. კვლევა ჩატარდა 2012 წლის ივნისის ბოლოს მარნეულში, ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში.

კვლევის შედეგების პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მედიის, არასამთავრობო, სამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა და გენდერის ექსპერტებმა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ეთნოგენეზი

პირველი გვერდიდან

"ამ ტერიტორიებზე დასახლებული ადგილები აღარ იარსებებს," - განაცხადა დე ფაქტო პრეზიდენტმა.

თიბილოვის თქმით, უკვე ნანგრევებად ქცეულ ტერიტორიებს უახლოეს მომავალში იურიდიულად გააფორმებენ, რათა ზედმეტი კითხვები არ გაჩნდეს. იურიდიული საკითხების მოგვარების შემდეგ, თიბილოვის ინიციატივით, "გასუფთავებულ" ტერიტორიებზე სამრეწველო და სოფლის მეურნეობის ობიექტები განთავსდება. გაზეთ "იზვესტიას" ინფორმაციით, ამ სოფლების სახელწოდებებიც შეიცვლება.

"სამი-ოთხი წლის შემდეგ ამ ადგილებს ვერ იცნობთ. დანგრევას შედარებით გადაურჩა სახლები თამარაშენში (იქ უკვე აშენდა ახალი მიკრორაიონი "მოსკოვსკი"). კეხვის სამლოცველოს არ შევხებივართ, თუმცა სახლების დიდი ნაწილი უკვე აღებულია," - განაცხადა დე ფაქტო პრეზიდენტმა.

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ დიმიტრი სანაკოევის აზრით, ცხინვალის რეჟიმის ლიდერის განცხადებებმა, შესაძლოა, საფრთხის ქვეშ დააყენოს ჟენევის მოლაპარაკებები.

სანაკოევის თქმით, აზრი არა აქვს ჟენევაში სიარულს და ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა იმ სოფლებში დაბრუნების საკითხის განხილვას, რომლებიც უახლოეს მომავალში აღარ იარსებებს.

დიმიტრი სანაკოევი დარწმუნებულია, რომ მსგავსი ქმედებებით ცდილობენ, **"ყველაფერი ქართული თავიდან მოიშორონ".**

ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი კი სამხრეთ ოსეთის მარიონეტული ხელისუფლების გადაწყვეტილებას ოკუპაციის და ანექსიის მორიგ გამოვლინებად აფასებს.

"ეს არის კონკრეტული გამოვლინება იმ ოკუპაციისა და ანექსიისა, რომელსაც რუსეთი ახორციელებს. გარდა იმისა, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმები ირღვევა, ეს არის ჰუმანიტარული ბოროტება. ადრე თუ გვიან ეს ყველაფერი დასრულდება და დამნაშავეები პასუხს აგებენ," - განაცხადა დარჩიაშვილმა და დასძინა, რომ ქართული მხარე გააგრძელებს დიპლომატიური გზებით ბრძოლას საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციისთვის.

როგორც "24 საათთან" საუბარში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგი კაპანაძე აცხადებს, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება ეთნიკური წმენდის პოლიტიკის გაგრძელებაა.

"მოსახლეობის საკუთარი სახლებიდან გამოდევნის შემდეგ, გრძელდება დარჩენილი სოფლების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განადგურება, რაც ეთნიკური წმენდის პირდაპირი მაგალითია. ამ ყველაფერზე პასუხისმგებელია არა მარიონეტული რეჟიმი, მათ შორის ბატონი თიბილოვი, არამედ მოსკოვი. სწორედ მოსკოვი არის ოკუპანტი და ის აკონტროლებს ყველა იმ პროცესს, რომლებიც დღეს ცხინვალის რეგიონში მიმდინარეობს. ამიტომ, თუ ეს მართლა განხორციელდება, ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი არის და იქნება მოსკოვი," - განაცხადა კაპანაძემ. მისი თქმით, საქართველოს საგარეო უწყებამ უკვე ჩააყენა საქმის კურსში საერთაშორისო საზოგადოება და ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეები.

"ველოდებით მათ რეაქციას," - დასძინა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

გალში 9 წლის ბავშვი გაიტაცეს

"კონფლიქტის გამწვავების პათოლოგიური გამოვლინება," - ასე აფასებს გალის რაიონში მომხდარ ინციდენტს სამეგრელოსა და ზემო სვანეთში მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი თორნიკე კილანავა. საუბარია 9 წლის ბავშვის გატაცების ფაქტზე.

სოფელ ქვემო ბარღებიდან, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიას ეკუთვნის, მესამე კლასის მოსწავლე ბექა ჭაავა, ნიღბიანმა თავდამსხმელებმა, გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. როგორც თორნიკე კილანავამ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, ჭაავების ოჯახში გამტაცებლები იმ დროს შეიჭრნენ, როდესაც სახლში მხოლოდ ბავშვი იმყოფებოდა. ჭაავების მეზობლების ინფორმაციით, თავდამსხმელები ხუთნი იყვნენ.

როგორც გაირკვა, გატაცებული მოზარდი ეპილეფსიით არის დაავადებული და მის სიცოცხლეს, შესაძლოა, ნებისმიერ წუთს საფრთხე შეექმნას. გატაცებული ბავშვის სავარაუდო ადგილ-სამყოფელის შესახებ, ჯერ-ჯერობით, არანაირი ინფორმაცია არ არსებობს.

გატაცების ზუსტი მოტივი დაუდგენელია. გამტაცებლები გატაცებულის ოჯახის წევრებს და ახლობლებს გამოსასყიდის მოთხოვნით, ჯერ-ჯერობით, არ დაკავშირებიან.

"20 წლის განმავლობაში, სეპარატისტების მხრიდან ქართველების უფლებების დარღვევის ყველანაირი შემთხვევის მომსწრეები ვართ, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში, მსგავსი ფაქტი არ ყოფილა, რომ მოზარდის სიცოცხლეს დამუქრებოდნენ. როგორც ჩანს, არსებული მდგომარეობა უკვე საშიშ სახეს იღებს. საოკუპაციო ჯარის ხელმძღვანელობა ვერ თუ არ აკონტროლებს სიტუაციას, სეპარატისტული რეჟიმი, ოკუპანტებთან და კრიმინალებთან ერთად, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მუდმივი შიშის და ტერორის ქვეშ იყოს," - განაცხადა "24 საათთან საუბრისას" თორნიკე კილანავამ.

მისივე განმარტებით, მომხდარის თაობაზე უკვე ინფორმირებულია თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია.

"ველოდებით დროულ რეაგირებას, რათა პრევენცია მოხდეს და მსგავსი შემთხვევა არ განმეორდეს," - აცხადებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელი.

საპარტნიორო ფონდი - უფრო თავისუფალი, ვიდრე მთავრობა

პირველი გვერდიდან

მისივე თქმით, ხეთაგურს თავად სთხოვა, რომ უხელმძღვანელოს ყველაზე მნიშვნელოვან უწყებას - ფინანსთა სამინისტროს.

"მინდა, ახალ მინისტრს, რომელსაც არანაკლები ამოცანები აქვს, ვუსურვო წარმატება. ვახტანგ ბალავაძეს აქვს სერიოზული გამოცდილება საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით და სწორედ ახლა დადგა ეპოქა, რომ ეს სამინისტრო ტექნიკური სამინისტროდან გადაიქცეს საჯარო სამინისტროდ. ის მიღწევები, რომლებიც ალექსანდრე ხეთაგურმა განახორციელა, თითოეულ მოქალაქემდე უნდა მივიდეს," - აღნიშნა მერაბიშვილმა.

საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელის მოადგილე დიმიტრი გვინდაძეზე საუბრისას კი, პრემიერმა განაცხადა, რომ გვინდაძე საქართველოს მთავრობაში ყველაზე მაღალპროფესიონალი ადამიანია, ვინც უცხოელ დონორ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა.

"როცა მე პრემიერმინისტრის პოსტზე დავინიშნე, აღმოვაჩინე, რომ ფინანსურად და ეკონომიკურად მთავრობის ეს სტრუქტურა ძალიან კარგი იყო, რაც ბატონი ნიკას და ბატონი დიმას დამსახურებაა. ჩვენ დიდი ხანია, ვგეგმავთ მთავრობის გააქტიურებას კონკრეტული პროგრამების მიმართულებით და ამისთვის ფონდის შექმნა ყველაზე ეფექტური იყო. კარგია, რომ ეს ფონდი ამოქმედდა და ფუნქციონირებს. იმედი გვაქვს, ბატონი დიმა ეფექტურად და ძველებური ენთუზიაზმით გააგრძელებს მუშაობას ახალ თანამდებობაზე," - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა და აღნიშნა, რომ მთავრობის ყველა წევრს შურს საპარტნიორო ფონდის.

"თქვენ ხართ უფრო თავისუფლები, არ ხართ შეზღუდულები რეგლამენტით," - დასძინა მერაბიშვილმა და აღნიშნა, რომ ფონდის მიერ გაკეთებული საქმე მომავალში საქართველოს ეკონომიკური განვითარების საფუძველი უნდა გახდეს და მთავრობის დაპირებების დიდი ნაწილი სწორედ ამ ფონდზე გაივლის.

"ასევე, უცხოეთში ქართული ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის წახალისება სწორედ თქვენ მიერ შექმნილი კომპანიით უნდა განხორციელდეს, რაც, საბოლოო ჯამში, გახდება გარანტია იმისა, რომ ქართველ გლეხს ექნება ინტერესი, გაზარდოს საკუთარი წარმოება. ის დარწმუნებული იქნება, რომ საკუთარ ჭარბ პროდუქციას უცხოეთში გაიტანს," - განაცხადა მერაბიშვილმა. მისივე თქმით, არსებობს პროექტები, რომლებშიც ფონდთან ერთად სახელმწიფოც ჩაერთვება და არსებობს პროექტები, რომელთა განხორციელებასაც სახელმწიფოზე ეფექტურად და დროულად სწორედ ფონდი შეძლებს.

"ჩვენი ამოცანა იქნება ბევრი ახალი ბიზნესის შექმნა და შემდეგ მათი პრივატიზაცია, რათა შემოსული ფულით კიდევ მეტი გავაკეთოთ," - დასძინა პრემიერმა.

ფინანსთა ყოფილი მინისტრი დიმიტრი გვინდაძე ასევე უხელმძღვანელებს კომპანია "ინვესტ ინ ჯორჯიას", რომელიც საპარტნიორო ფონდის ბაზაზე შეიქმნა. მისი თქმით, საპარტნიორო ფონდი მოკლე ვადებში დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე მუშაობს.

"ეს არის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, სხვადასხვა ეკონომიკური, ასევე სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურული პროექტები," - განუცხადა გვინდაძემ ჟურნალისტებს.

რაც შეეხება "ინვესტ ინ ჯორჯიას", რომლის ხელმძღვანელობაც ასევე ფინანსთა ექსმინისტრს დაეკისრა, გვინდაძის განმარტებით, ეს არის საინვესტიციო სააგენტო, რომელიც საპარტნიორო ფონდის ნაწილია.

"მისი ძირითადი ფუნქცია ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოზიდვაა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის გრძელვადიანი განვითარებისთვის, ტექნოლოგიების ტრანსფორმირებისთვის და იმისთვის, რომ როგორც დღეს, ისე ხვალ და ზეგ კონკურენტუნარიანები ვიყოთ", - დასძინა გვინდაძემ.

საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელ ნიკა გილაურის თქმით, საპარტნიორო ფონდი "საქართველოს რკინიგზის", გაზის კორპორაციისა და ელექტროსისტემის 100-პროცენტიან წილებს ფლობს. მისივე განმარტებით, საპარტნიორო ფონდი კიდევ რამდენიმე კომპანიის წილების მეპატრონეა.

"ფონდის ფუნქციაა ახალი პროექტების დაწყება და შემდეგ მათი გაყიდვა," - აღნიშნა გილაურმა.

ივანიშვილმა ალასანია ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატად წარადგინა

"ქართული ოცნების" ლიდერმა ირაკლი ალასანია ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატად წარადგინა. ბიძინა ივანიშვილის თქმით, ალასანიას კარგი ბიოგრაფია აქვს, მამასთან ერთად თავადაც იბრძოდა აფხაზეთის ომში და კარგად იცნობს ადგილობრივების პრობლემებს.

ივანიშვილმა პირობა მისცა ზუგდიდელებს, რომ აუცილებლად გაიმარჯვებენ 1-ელი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში. მისი თქმით, "ქართული ოცნების" მთავარი პრიორიტეტი მოსახლეობის დასაქმება და ტერიტორიების დაბრუნება იქნება.

"ამ ხელისუფლებას არ უნდა თავისუფალი ხალხი, ჩვენ ხალხს დავუბრუნებთ თავისუფლებას, მოემზადეთ გამარჯვებისთვის," - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, "ქართული ოცნების" ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ბიზნესის თავისუფლება იქნება.

ივანიშვილის თქმით, კოალიციის მიერ განხორციელებული "კარდაკარისას" გამოჩნდა, რომ სამეგრელოში "ქართულ ოცნებას" ძალიან ბევრი მხარდამჭერი ჰყავს.

ირაკლი ალასანიამ კი, თავის მხრივ, მხარდამჭერებს არჩევნებში გამარჯვების პირობა მისცა.

კარბელაშვილი და უგულავა ამომრჩევლებს შეხვდნენ

"ნაციონალური მოძრაობის" ვაკის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატი გიორგი კარბელაშვილი დევნილებს შეხვდა. კარბელაშვილი, თბილისის მერ გიგი უგულავასთან ერთად, რომელიც მმართველი პარტიის თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელია, აფხაზეთიდან დევნილ ტარიელ ხვისტანის ოჯახს ესტუმრა და მთავრობის მიერ დაგეგმილ სოციალურ პროექტებზე გაესაუბრა.

ამის შემდეგ გიგი უგულავამ ვაკის მოსახლეობას რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატი კიდევ ერთხელ წარუდგინა. გიორგი კარბელაშვილმა მოსახლეობასთან საუბრისას "ნაციონალური მოძრაობის" სამომავლო პროექტებზე გაამახვილა ყურადღება.

უგულავა და კარბელაშვილი "მზიურშიც" მივიდნენ. "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატი იმ პროექტს გაეცნო, რომლის მიხედვითაც საბავშვო ქალაქ "მზიურის" სამომავლო განვითარება იგეგმება. შემდეგ კი მათ პარკში მდებარე ქანდაკებები დაასუფთავეს და ამავე პარკში ახალ საკალათბურთო მოედანზე მოყვარულ კალათბურთელთა თამაშს ვაკეში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ერთად უყურეს.

შალვა შავგულიძე ამომრჩევლებს შეხვდა

კოალიცია "ქართული ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატმა ვაკის რაიონში შალვა შავგულიძემ ამომრჩევლებთან გაცნობითი შეხვედრა გამართა. მან ვაკის რაიონის მცხოვრებლებთან იმ გეგმებზე ისაუბრა, რომელთა განხორციელებასაც პარლამენტში შესვლის შემთხვევაში აპირებს.

შავგულიძემ მოუწოდა თანაუბნელებს, 1-ელ ოქტომბერს აუცილებლად მივიდნენ საარჩევნო უბანზე და საპარლამენტო არჩევნებში ხმა მისცენ სასურველ კანდიდატს.

"ლეიბორისტებმა" ხელისუფლების გადაწყვეტილება მოიწონეს

"ლეიბორისტული პარტია" დადებითად აფასებს ხელისუფლების გადაწყვეტილებას გლეხებისთვის მიწების დაკანონებაზე გადასახადის მოხსნის შესახებ და აცხადებს, რომ ეს მათი პარტიის დამსახურებაა.

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა პაატა ჯიბლაძემ განაცხადა, "ლეიბორისტრულმა პარტიამ" ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მიაღწია მიზანს და ხელისუფლება აიძულა, წინასაარჩევნოდ გლეხებისთვის უფასოდ დაეკანონებინა მათი კუთვნილი მიწები.

ჯიბლაძის განმარტებით, "ლეიბორისტული პარტია" 90-ანი წლების ბოლოდან იბრძვის იმისათვის, რომ გლეხებს უფასოდ დაეკანონებინათ ის მიწები, რომლებიც მათ ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ხელმოწერილი დოკუმენტის საფუძველზე აქვთ მფლობელობაში.

"ამ მიწების სრული დაკანონება და საჯარო რეესტრში გატარება ვერ ხდებოდა, ვინაიდან ამას სახსრები სჭირდებოდა. ჩვენ სისტემატურად ვიბრძოდით, რათა გლეხების ეს მიწები დაკანონებოდათ და ეს უფასოდ მომხდარიყო," - განაცხადა ჯიბლაძემ და დასძინა, რომ ბოლო პრესკონფერენცია ამ თემაზე მან ერთი თვის წინ გამართა.

"ლეიბორისტები" არ გამორიცხავენ, რომ მიხეილ სააკაშვილმა, მიწების დაკანონების სანაცვლოდ, ფულის ან ხმების გამოძალვა დაიწყოს. სწორედ ამიტომ, ასეთი ფაქტების არსებობის შემთხვევაში პარტია მოუწოდებს გლეხებს, პარტიის რაიონულ ორგანიზაციებს მიმართონ.

ინგა გრიგოლია: "ქდმ ეკლესიის თემით არ პოპულისტობს"

"თუ ვინმე არ პოპულისტობს ეკლესიის თემით, ეს "ქრისტიან-დემოკრატები" არიან," - ამის შესახებ გლდანში "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" მაჟორიტარობის კანდიდატმა ინგა გრიგოლიამ განაცხადა.

მისი თქმით, ბოლო პეიროდში არაერთი პოლიტიკური ძალა იყენებს საპატრიარქოს სახელს.

"ჩვენ ყველას გვაქვს ნანახი, როგორ გამოდიან მიტინგებზე მეუფეები, მამაოები ან როგორ მიდის სააკაშვილი პატრიარქთან, ასევე სასულიერო პირებით გარშემორტყმული. თუ ვინმე არ პოპულისტობს ეკლესიის თემით, ესენი არიან "ქრისტიან-დემოკრატები". არც ერთ ჩვენს ღონისძიებაზე არ ყოფილა სასულიერო პირი. პატრიარქს ჩვენ არ ვიყენებთ პოლიტიკური მიზნებისთვის, ასეთ რამეს არასდოს ვაკადრებთ არც პატრიარქს, არც რომელიმე მეუფესა და მოძღვარს," - განაცხადა ინგა გრიგოლიამ.

გლდანელებთან შეხვედრისას მან ხელისუფლების ორმაგ სტანდარტზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ არ შეიძლება, ერთი ხელით რუსეთს ებრძოდე და მეორე ხელით ყველაზე სტრატეგიულ ობიექტს აძლევდე. გრიგოლიას აზრით, თუ საქართველოს რამე უშველის, ეს არის ენერგოკომპანიების სახელმწიფოსთვის დაბრუნება, განსაკუთრებით კი - "თელასის" გამოსყიდვა.

ბანკი "Standard Chartered" ირანთან თანამშრომლობისთვის დაჯარიმდება

ბრიტანულმა ბანკმა "Standard Chartered"-მა და ამერიკის ხელისუფლებამ სასამართლოს გარეშე მოაგვარეს დავა, რომელიც ეხებოდა ბრალდებებს "ირანის ფინანსურ ორგანიზაციებთან არალეგალური ოპერაციების" თაობაზე. შეერთებული შტატების მიერ ირანის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების უგულებელყოფაში ბანკი ნიუ იორკის შტატის ფინანსური მომსახურების დეპარტამენტმა დაადანაშაულა. ბანკი 340 მილიონი დოლარის ოდენობით ჯარიმის გადახდას დათანხმდა, თუმცა თავიდან "Standard Chartered"-ის ხელმძღვანელი პიტერ სენდსი ყველა ბრალდებას უარყოფდა. ბანკის ადმინისტრაციამ ბოლოს აღიარა, რომ რამდენიმე ოპერაცია მართლაც ჩატარდა სანქციების გვერდის ავლით, თუმცა ამ გარიგებების საერთო ღირებულებას 14 მილიონი დოლარისთვის არ გადაუჭარბებია. მიღწეული შეთანხმების თანახმად, ფინანსური მომსახურების დეპარტამენტისთვის (DFS) ჯარიმის გადახდის გარდა, ბანკი საკუთარ სისტემაში დამოუკიდებელ აუდიტორებს დაუშვებს, რომლებიც ბანკის მუშაობას ორი წლის განმავლობაში დააკვირდებიან. სამაგიეროდ, ბანკს აღარ ჩამოართმევენ შეერთებულ შტატებში მუშაობის ლიცენზიას. ამერიკის ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოძიების თანახმად, რომელიც 9 თვე გრძლდებოდა, ბანკმა 10 წლის განმავლობაში 250 მილიარდი "ირანული" დოლარი გაათეთრა. ლაპარაკია ირანელ კლიენტებთან დადებულ 60 საიდუმლო და უკანონო გარიგებაზე. თუმცა ბანკი აცხადებს, რომ "DFS"-ი ამომწურავ ინფორმაციას არ აქვეყნებს. "Standard Chartered"-ის წარმომადგენლების სიტყვებით, 2001-2007 წლებში ბანკში შემოწმებები რეგულარულად ტარდებოდა და მათი შედეგები აშშ-ს ხელისუფლებას ეგზავნებოდა. ირანის წინააღმდეგ განსაკუთრებით მკაცრი სანქციები კი ბოლო წლებში მოქმედებს.

ხარკოვში "ენის კანონის" მოწინააღმდეგეთა აქციას თავს დაესხნენ

შევჩენკოს ბაღში, სადაც რუსული ენისთვის რეგიონული სტატუსის მინიჭების წინააღმდეგ უვადო აქცია მიმდინარეობს, ღამით უცნობი პირები ბანაკს თავს დაესხნენ. სპორტულ ტანსაცმელსა და კაპიშონებში გამოწყობილი 6 ჯანმაგარი ახალგაზრდა შევჩენკოს ბაღში სინათლის გამორთვის შემდეგ, დაახლოებით ღამის პირველ საათზე, ბანაკში შეიჭრა. მათ მოტეხეს და გაიტაცეს ოთხი დროშა, ნაწილობრივ გააფუჭეს და მოიპარეს საგიტაციო მასალა და სხვა ნივთები. აქტივისტებმა მილიცია მაშინვე გამოიძახეს, თუმცა ისინი ადგილზე ინციდენტის დამთავრებიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მივიდნენ. საქმე ის არის, რომ აქციის დაწყების დღიდან ბანაკთან მილიციის მანქანა მუდმივად მორიგეობდა, ინციდენტის დროს კი იქ მილიციელები არ იყვნენ. ბანდიტებისა და მილიციის "სინქრონული ქმედება," აქციის მონაწილეების აზრით, ნათლად ადასტურებს, რომ თავდასხმა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ იყო დაგეგმილი. ხარკოვის მერიამ სასამართლოს საშუალებით აქცია უკვე ხუთჯერ აკრძალა და "ენის კანონის" მოწინააღმდეგეები იძულებული გახდნენ, ბანაკისთვის ადგილი რამდენჯერმე შეეცვალათ. ისინი აცხადებენ, რომ ხელისუფლება მათ პროტესტზე ხელს ვერ ააღებინებს.

ამ კანონმა, ფაქტობრივად, ორ ნაწილად გაყო უკრაინის საზოგადოება. უკვე აშკარაა სხვადასხვა განწყობა რეგიონების მიხედვით. დასავლეთი კანონს ეწინააღმდეგება, აღმოსავლეთი და სამხრეთი - მომხრეა. რუსულმა ენამ "რეგიონული" სტატუსი ყირიმსა და ოდესის ოლქში, ფაქტობრივად, უკვე მიიღო.

ობამა ამომრჩეველს საკუთარი ლუდით გაუმასპინძლდა

ამერიკის პრეზიდენტმა საკუთარი სახსრებით შეიძინა მინი ლუდსახარში და ის თავის ოფიციალურ რეზიდენციაში - თეთრ სახლში დაამონტაჟა. ეს ცნობილი ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე გახდა, როდესაც ბარაკ ობამა საკუთარი წარმოების ლუდით გაუმასპინძლდა ამერიკის არმიის სერჟანტს, რომელიც დაჯილდოვდა მედლით "მამაცობისათვის". ოჰაიოს შტატში, ქალაქ ნოკსვილში ამომრჩევლებთან შეხვედრისას ერთ-ერთმა მათგანმა პრეზიდენტს ჰკითხა, თუ როგორ მუშაობს თეთრი სახლის ლუდსახარში. ამის პასუხად ობამამ თანაშემწეებს სთხოვა, ავტობუსიდან მოეტანათ ერთი ბოთლი ლუდი და ის გახარებულ მომხრეს აჩუქა. მასზე იყო წარწერაც "თაფლის ელი თეთრი სახლიდან". ცხადია, ჟურნალისტებმა ეს შემთხვევა ხელიდან არ გაუშვეს და პრეზიდენტის პრესმდივანს ჯეი კერნის ლუდის თაობაზე შეკითხვები დააყარეს. მან უპასუხა, რომ "თეთრ სახლში გრძელდება როგორც შავი, ასევე თეთრი ლუდის ხარშვა, მე თეთრი მაქვს გასინჯული და მომწონს". ობამას თანაშემწეები ადრეც აცხადებდნენ, რომ პრეზიდენტის ოჯახი რამდენიმე სახეობის ლუდს ხარშავს, თუმცა ყველას აქვს თაფლის დანამატი. სკებიც თეთრი სახლის ეზოში, მიშელ ობამას მიერ გაშენებულ ბაღში დგას და იქ ხშირად მუშაობენ როგორც პირველი ლედი, ასევე პრეზიდენტის სიდედრიც.

ბარაკ ობამა არასდროს მალავდა საკუთარ ლტოლვას ლუდის მიმართ; სიამოვნებით მიირთმევდა "გინესს" ირლანდიაშიც. ის ხშირად დებს სანაძლეოებს ერთ ყუთ ლუდზე სხვა სახელმწიფოების ლიდერებთან, მაგალითად, სპორტული მატჩების შედეგებზე. ის ისტორიაში შევა არა მხოლოდ როგორც პირველი შავკანიანი ამერიკელი პრეზიდენტი, არამედ როგორც თეთრი სახლის პირველი მეპატრონე, რომელმაც იქ ლუდსახარში გახსნა. აშშ პირველი პრეზიდენტები, მათ შორის, ჯორჯ ვაშინგტონი და ტომას ჯეფერსონიც ლუდის მოყვარულები იყვნენ და საკუთარი ლუდსახარშებიც ჰქონდათ, მაგრამ ისინი, ობამასგან განსხვავებით, ლუდს თავიანთ მამულებში ხარშავდნენ.

მოამზადა ივა შილაკაძემ

გაჭიანურებული კონფლიქტი სირიაში

პირველი გვერდიდან

გაქცეული პრემიერი რიად ჰიჯაბი

აფეთქების შედეგად დაზიანდა ახლომდებარე შენობები და ავტომობილები.

ადგილზე, სამაშველო და სასწრაფო დახმარების მანქანების გარდა, მალევე გამოჩნდნენ მთავრობის წევრებიც. საგარეო უწყების შეფასებით, აფეთქების მიზანი კრიმინალების მხრიდან სირიის სახელმწიფო იმიჯის შელახვა იყო. **"ვადასტურებ, რომ მხარდაჭერას ვუცხადებთ გაერო-ს მისიას და ყველაფერს გავაკეთებთ მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად,"** - განაცხადა სირიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ფაიზალ მეყდადიმ.

სირიაში, სადაც რეჟიმის ძალადობა საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ უკვე 17 თვეა გრძელდება, ვითარების რეგულირება ამ დრომდე ვერ ხერხდება. ირანის მხრიდან ასადის რეჟიმის მხარდაჭერის შესახებ მორიგი განცხადება გაკეთდა ვაშინგტონშიც. შეიარაღებული ძალების გენშტაბის ხელმძღვანელის მარტინ დემპსის თქმით, თეირანი დამასკოს პარტიზანების მომზადებაში ეხმარება, რომლებიც შემდეგ პრეზიდენტ ასადის სახელით ამბოხებულებს ებრძვიან. შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა კი რუსეთსა და ჩინეთს სირიის საკითხზე თანამშრომლობისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა. ლეონ პანეტას თქმით, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი და ჩინეთი სირიის კონფლიქტის მოგვარების ამერიკულ ვარიანტს მხარს არ დაუჭერენ, შეერთებული შტატები და მათი მხარდამჭერები სირიის ლიდერის რეჟიმისგან თავის დასაღწევად სხვა გზას მოძებნიან.

სკანდალურ განცხადებებს აკეთებენ თავად სირიის ხელისუფლებაშიც. მათი მტკიცებით, ამბოხებულები იარაღს ევროკავშირისა და ისრაელისგან იღებენ. "ჩვენს ქვეყანაში დაძაბულობის ესკალაცია გრძელდება და მას ერთადერთი მიზანი აქვს - რეჟიმის დამხობა," - აღნიშნა სირიის პარლამენტის პასუხისმგებელმა მდივანმა ხალედ აბუდმა "დამასკო-მოსკოვის" ტელეხიდის მსვლელობისას. სირიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი კი, რომელმაც პოლიტიკური თავშესაფარი იორდანიაში ითხოვა, ასადის რეჟიმის უმოკლეს ვადებში დამხობაზე საუბრობს. რიად ჰიჯაბის განცხადებით, იგი ოპოზიციის რიგებში ერთ-ერთი რიგითი ჯარისკაცია, ხოლო ბაშარ აღ-ასადის რეჟიმი დასასრულს უახლოვდება. იორდანიის ტელევიზიით გავრცელებულ მიმართვაში ჰიჯაბმა განაცხადა, რომ სირიის ხელისუფლებამ მარცხი განიცადა ეკონომიკურ, სამხედრო და მორალურ დონეზე, ასევე უძლური აღმოჩნდა, შეენარჩუნებინა ძალაუფლება, რადგან ამჟამად ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 30 პროცენტს აკონტროლებს. ყოფილმა პრემიერმა რეგულარულ არმიაში მოსამსახურეებს ამბოხებულთა მხარეზე გადასვლისკენაც მოუწოდა, - ვთხოვ ჩვენს ჯარისკაცებს, ეგვიპტელი და ტუნისელი სამხედროების მაგალითს მიბაძონ, რომლებმაც მოსახლეობის მხარეს გადასვლა არჩიეს.

იმის თაობაზე, რომ ასადის რეჟიმი დასასრულს უახლოვდება, საუდის არაბეთის პრესაც წერს. გაზეთმა "ალ ვათანმა" თავის ვებგვერდზე აუდიომასალაც განათავსა, სადაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესა და ახლო აღმოსავლეთში პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელთან მიხაილ ბოგდანოვთან ინტერვიუა ჩაწერილი. ბოგდანოვი, არაბული მედიის მტკიცებით, სირიის პრეზიდენტის ბაშარ აღ-ასადის მალე გადადგომისთვის მზადებასა და მისი ძმის - მაჰერის უმძიმეს მდგომარეობაში ყოფნაზე საუბრობს. აუდიომასალის აუთენტურობაზე ოფიციალური კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, მაგრამ რუსულ მედიასთან ანონიმურობის საფუძველზე გაკეთებულ განცხადებებში ამ უწყების წარმომადგენელმა არაბული გაზეთის მიერ გავრცელებულ ცნობას მორიგი პროვოკაცია უწოდა.

სირიის დიდ ქალაქებში კი შეტაკებები გრძელდება, ჰუმანიტარული ვითარება კი სულ უფრო უარესდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა ვალერი ამოსმა სირიის ხელისუფლებასთან ჰუმანიტარული დახმარების საკითხი დასამკოში განიხილა. **"სამი თვის წინ ვვარაუდობდით, რომ დახმარების გაწევას დაახლოებით მილიონი ადამინი საჭიროებდა, მაგრამ იძულებული ვართ, ვაღიაროთ, რომ ასეთი ადამიანების რიცხვმა უკვე ორ მილიონ-ნახევარს მიაღწია,"** - აღნიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვალერი ამოსმა.

სირიის საკითხზე საგანგებო შეხვედრა, საუდის არაბეთის ხელმძღვანელების ინიციატივით, მექაში დაიწყო. კენჭი ისლამური კონფერენციის ორგანიზაციიდან სირიის გარიცხვის საკითხს უნდა უყარონ, რასაც ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი ეწინააღმდეგება. ისლამურ კონფერენციაზე ეგვიპტის პრეზიდენტი მოჰამედ მორსი უკვე გამოვიდა სირიაში რეჟიმის შეცვლისკენ მოწოდებით.

მასობრივი არეულობა საფრანგეთის ჩრდილოეთში

პირველი გვერდიდან

ფრანსუა ოლანდი ამიენის არეულობაზე საუბრისას

ათობით ნაგვის ბუნკერი გადააბრუნეს და ცეცხლი წაუკიდეს.

არეულობის მონაწილეები, რომელთა რიცხვიც დაახლოებით 100 ადამიანს აღწევდა, პოლიციელებს პიროტექნიკურ საშუალებებს, ქვებს, ბოთლებსა და სხვადასხვა საგნებს ესროდნენ; გამოიყენეს საფანტიანი ცეცხლსასროლი იარაღიც.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, არეულობა მძღოლის დაკავებამ გამოიწვია, რომელმაც საგზაო წესები დაარღვია. მას შემდეგ, რაც რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრები შეეცადა მისი დაკავებისთვის ხელი შეეშალა, პოლიციამ მათ წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენა. ამან არეულობის მონაწილეები კიდევ უფრო გააღიზიანა.

საგანაგებოდ ამენში ჩასულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა მანუელ ვალსმა განაცხადა, რომ დაუშვებელია იმათი გამართლება, ვინც დაწვა შენობები და პოლიციელებს ესროდა. მისი განცხადებით, ხელისუფლება ყველა საჭირო ზომას მიიღებს, რომ მსგავსი არეულობის განმეორება არ დაუშვას. ხალხი, ვინც მინისტრთან შესახვედრად მივიდა, მას სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა, ზოგიერთებმა დამცავი დერეფნის გარღვევაც კი სცადეს.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა პირობა დადო, რომ უსაფრთხოების ზომებს გააძლიერებს და ამიენში დამატებით ძალებს გაგზავნის. მისი განცხადებით, ხელისუფლება ქვეყანაში სიმშვიდის სასწრაფოდ აღსადგენად ყველაფერს გააკეთებს. "მთავრობა მობილიზაციას უკეთებს თავის ყველა რესურსს, რათა ძალადობის ნებისმიერ გამოვლინებას ებრძოლოს," - განაცხადა ოლანდმა და პირობა დადო, რომ უახლოეს მომავალში ჟანდარმერია დამატებით საბიუჯეტო სახსრებს მიიღებს, ხოლო პოლიციაში ახალი სამუშაო ადგილები გაჩნდება.

ასევე ცნობილი გახდა, რომ ამ დროისთვის პოლიციას არეულობის არც ერთი მონაწილე არ დაუკავებია. სავარაუდოდ, ხელისუფლება შიშობს, რომ, შესაძლოა, არეულობა ახლომდებარე ქალაქებსა და რაიონებზე გავრცელდეს.

ჯეიმს ჯოისი კიდევ ერთხელ და ქართულად

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"არტანუჯის" გამოცემა

"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"

რომანს "ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას" და პიესას "გაძევებულნი", ქართულენოვანი მკითხველი გია ბერაძის თარგმანით გაეცნობა. როგორც მთარგმნელი წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, მწერალს თავისი ძმისათვის უთქვამს, რომ აპირებდა დაეწერა რომანი, რომელიც თხრობის ტექნიკის თვალსაზრისით "ახლას" ნაკადი იქნებოდა. მართლაც ნაწარმოებში თითქმის ყველაფერი "აქ" და "ახლა", მკითხველის თვალწინ ხდება.

"მწერალი კი არ გვიყვება თავის მთავარ გმირზე, არამედ გვიჩვენებს მას, ცდილობს მონაწილე გაგვხადოს იმ შინაგანი სულიერი პროცესებისა, რომლის შედეგად იბადება ესა თუ ის ფიქრი და გრძნობა. რომანში ავტორის მთელი ყურადღება მიპყრობილია გმირის სულიერი სამყაროს კვლევისაკენ, ყველა დანარჩენი პერსონაჟი მწერალს იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ისინი მთავარი გმირის შინაგანი სამყაროს გახსნას ემსახურება. გარე სამყაროს ჩვენ სტივენის ცნობიერების პრიზმაში გარდატეხილს ვხედავთ. სტივენისა, რომელსაც ჩვილობის ასაკში ვეცნობით და ვტოვებთ უკვე უნივერსიტეტდამთავრებულს, როცა იგი ირლანდიიდან გამგზავრებას აპირებს. ამ შუალედში ჩვენ თვალწინ კალეიდოსკოპურად გაიელვებს სტივენის ბავშვობის, ყრმობისა და სიჭაბუკის რამდენიმე ეპიზოდი, თვით ავტორის განცდილი და მხატვრულად გარდაქმნილი "მოგონებების მაღლობები" ანუ "რაც ერთხელ ცხოვლად სულს" დასჩენია. მწერალი დაინტერესებულია მთავარი გმირის ფსიქოლოგიური ევოლუციის ჩვენებით, რაც თავისთავად მეტად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის თვით ავტორის ფსიქოლოგიური ევოლუციის და მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების შესახებ, ჯოისი გვიჩვენებს სტივენის ბრძოლას იმ რუტინული საზოგადოებრივი ატმოსფეროს წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს, დაიმსგავსოს, თავის თარგზე გამოჭრას იგი. კორკში მოგზაურობისას, თავის წარსულზე შეყვარებული მამის დარიგებები მას უაზრო გაბმულ გუგუნად ჩაესმის და უკვე ამ ასაკში იცის, რომ მამის გზა არ არის მისი გზა. ამაოდ ჩაივლის იეზუიტი აღმზრდელების მრავალწლიანი ღწვა და დედის რჩევებიც. სტივენი უარყოფს სასულიერო კაერიერასაც, ამხანაგებსაც არ მოსწონთ, რომ სტივენი მათგან განსხვავებულია და მის მოქცევას ცდილობენ. "გახდი ერთ-ერთი ჩვენგანი!" - მიმართავს სტივენს თავისი სტუდენტობის მეგობარი დავინი. სტივენს ფიზიკური ძალადობის და დამცირების გადატანის ფასად უწევს საკუთარი აზრისა და გემოვნების დაცვა თანაკლასელი ჰერონისა და მისი ორი კომპანიონისაგან, რომლებიც ცდილობენ, ათქმევინონ, რომ ბაირონი არ არის საუკეთესო პოეტი. უფრო მოგვიანებით ის უარს ამბობს შეუერთდეს ეროვნული აღორძინების პროგრამას, რომელმაც იმ დროს მთელი ირლანდია მოიცვა. "თქვენ გაქვთ უფლება, თქვენი გზით იაროთ. მეც ნება მომეცით, ჩემი გზით ვიარო" -, ეუბნება სტივენი ამხანაგებს. ეს "საკუთარი გზით სიარული" მისთვის ირლანდიის მიტოვება აღმოჩნდა. ისევე როგორც თვითონ ჯოისისათვის" - ვკითხულობთ გია ბერაძის შესავალ წერილში.

"ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას" საგულისხმო და საინტერესო ნაწარმოებია არა მხოლოდ ლიტერატურის გურმანების, ზოგადად ახალგაზრდა მკითხველისათვის, აქ უამრავი პასუხია იმ საკითხზე, რაც სწორედ ახალგაზრდულ ასაკში გვაწუხებს, თუმცა კი, არჩევანის გაკეთება, როგორ ვიცხოვროთ, ნებისმიერ ასაკში რთულია.

ირლანდიიდან წასვლა საკვანძო მომენტი იყო ჯოისის ცხოვრებაში. ერთი შეხედვით პარადოქსია, რომ მწერალი, რომლის შემოქმედების თემა მხოლოდ ირლანდია და ირლანდიელი ხალხი იყო, ვინც ამბობდა, რომ თხემით ტერფამდე ირლანდიელია და კითხვაზე "როდის დაბრუნდები ირლანდიაშიო", პასუხობდა, რომ არასოდეს მიუტოვებია იგი, 22 წლის ასაკში ტოვებს ირლანდიას და თავისი ცხოვრების თითქმის ორ მესამედს ნებაყოფლობით ემიგრაციში ატარებს.

რომანი 1916 წელს გამოქვეყნდა და მის გამოჩენას ლიტერატურულ წრეებში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. მოწინააღმდეგეების გვერდით მას დამფასებლებიც მალე გამოუჩნდნენ. "ეს დიდი ლიტერატურაა" - ასეთი იყო ჰერბერტ უელსის აზრი, მაშინ ჯერ კიდევ ფართო საზოგადოებისათვის უცნობი მწერლის რომანზე, ხოლო ამერიკელმა პოეტმა, მოდერნიზმის მეტრად მიჩნეულმა ეზრა პაუნდმა, ფრანგ მთარგმნელს ლუდმილა ბლოშ სავიცკაიას, რომელიც რომელიღაც ინგლისური რომანის თარგმნას აპირებდა, ხელში "პორტრეტი" შეაჩეჩა და უთხრა: "თქვენ უნდა თარგმნოთ ჯოისის წიგნი და თანაც ახლავე! ამის ბადალი არაფერია დღევანდელ მსოფლიო ლიტერატურაში და ცოტა რამ მეგულება წარსულში".

"ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას" ავტობიოგრაფიული რომანია. ამგვარი ნაწარმოებები მკითხველის ცნობისმოყვარეობას იმითაც აღვიძებს, რომ მას ინტერესი უჩნდება გაიგოს, ესა თუ ის თავგადასავალი მართლა გადახდა ავტორს, თუ მხოლოდ მხატვრული გამონაგონია. თანამედროვეთა მოგონებების მიხედვით პატარა ჯეიმსი სულაც არ ჩანს სტივენივით მელანქოლიური და საკუთარ თავში ჩაკეტილი, პირიქით მოძრავი, ცოცხალი ბავშვი ყოფილა. შინაურები მას პატარაობისას "მხიარულ ჯეიმზს" ეძახდნენ. რომანის მიხედვით კლონგოუზ ვუდის კოლეჯის სასპორტო მოედანზე თამაშისას სტივენი გამოიყურება სუსტ და გაუბედავ ბავშვად, რომელიც ცდილობს, ბურთისთვის ბრძოლას თავი აარიდოს, თვით ჯოისს კი სპორტულ შეჯიბრებებში პრიზებიც აქვს მიღებული. არც მამასთან ერთად კორკში მოგზაურობას მოუხდენია მასზე ისეთი მძიმე შთაბეჭდილება, როგორც ნაწარმოების მიხედვით სტივენზე მოახდინა. მწერლის უმცროსი ძმა სტანისლოს ჯოისი იგონებს, რომ ჯეიმზი მხიარულად ყვებოდა კორკში მოგზაურობის თავდაგადასავლებს. წვეულებებზეც ყოველთვის სუფრის სული და გული ყოფილა თავისი იუმორითა და სიმღერებით. ჯოისის იუმორი ახსოვთ ასევე მისი სტუდენტობის მეგობრებს. ასე რომ, სტივენის სრული გაიგივება ავტორთან არ შეიძლება, თუმცა, მკვლევართა აზრით, მსგავსება ძალიან არსებითია. თვითონ ჯოისი აღნიშნავდა, რომ ამ რომანით მას სურდა ეჩვენებინა ხელოვანის სახე ზოგადად, თანაც მისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე - ახალგაზრდობისას. ცნობილია, რომ როცა ვინმე მასთან ამ რომანს შემოკლებით "ხელოვანის პორტრეტად" მოიხსენიებდა, ჯოისი ყოველთვის დაამატებდა ხოლმე - "ახალგაზრდობისას". იგი ამ რომანს თავისი ახალგაზრდობის წიგნად თვლიდა, მოწიფულობის წიგნად კი "ულისე" მიაჩნდა.

"არტანუჯი" ჯეიმს ჯოისის წერილების გამოცემასაც გვპირდება, რაც არა მხოლოდ საინტერესო ფაქტი, აუცილებელი პირობაა მწერლის შემოქმედების უკეთ აღსაქმელად და მისი პიროვნების გასააზრებლად. ჯოისის წერილები განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის, ქართველი მკითხველისათვის, სადაც ჯოისი, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პატარა ხალხის შვილი, თავისი ქვეყნის მომავალზე, ირნალდიელ მწერალთა პატრიოტულ ტენდენციებსა თუ სახალხო გმირებზე მსჯელობს. ვერ გეტყვით, რამდენად აქტუალურია დღეს ჯოისი თანამედროვე ირლანდიელი მკითხველისათვის, მაგრამ 21-ე საუკუნის ქართველი მკითხველს რომ მისი ნააზრევის გაცნობა სასიცოცხლოდ სჭირდება, ამის თქმა კი დანამდვილებით შემიძლია.

"ჯოისს სჯეროდა, რომ მწერლის მოვალეობა იყო, უმალ შეურაცხყოფა მიეყენებინა ნაციონალური კუდაბზიკობისათვის, ვიდრე აჰყოლოდა მას. თავისი ნაწარმოებებით სურდა, შოკი მოეგვარა მკითხველისათვის და მათი მძინარე ცნობიერება გაეღვიძებინა, რადგან თვითკმაყოფილება, მისი აზრით, სიკვდილს ნიშნავდა ერისათვის, ისევე როგორც ცალკეული ადამიანისათვის ნიშნავს. მას მიაჩნდა, რომ რაღაც კუხულაინის (ირლანდიური ეპოსის გმირის) კოდექსზე უფრო ფასეულის შეთავაზება შეეძლო თავისი ერისათვის. ჯოისმა ჯერ კიდევ "დუბლინელებში" გააცამტვერა მებრძოლი ირლანდიელების მითი და დახატა ისინი წყნარ დამყოლ, გაჭირვების ამტან, თუმცა გამჭრიახ ხალხად. დუბლინი, მისი აზრით, იყო ჩახუთული, ავადმყოფური ოთახი, სადაც თითქმის ყველანი შეთქმულიყვნენ, რომ ფანჯრები არ გაეღოთ და სუფთა ჰაერი არ შემოეშვათ. ის ირლანდიას დაავადებულად თვლიდა და ისე შორსაც კი მიდიოდა, რომ ამბობდა: ირლანდია ჩემი პაციენტიაო. ერთ-ერთი გამომცემლისთვის, რომელმაც დუბლინელების გამოცემაზე უარი უთხრა, ჯოისს უთქვამს, შენ ირლანდიის ჩამორჩენილობას უწყობ ხელს, როცა უარს ამბობ ჩაახედო ისინი ჩემ მიერ კარგად გაპრიალებულ სარკეშიო. მოგვიანებით, იმავე გამომცემლობისათვის მიწერილ წერილში ჯოისი "დუბლინელებს" აფასებს როგორც პირველ ნაბიჯს თავისი ქვეყნის სულიერი გათავისუფლებისაკენ" - წერს როსტომ ჩხეიძე ესეში "ჯერ ირლანდია, სტივი".

რაც შეეხება პიესას "გაძევებულნი", როგორც აღვნიშნეთ, ის მწერლის ერთადერთი პიესაა, რომელიც 1914-15 წლებში დაიწერა და მოგვითხრობს ნახევრად ავტობიოგრაფიული პერსონაჟის, მწერალ რიჩარდ რაუნის რთულ ურთიერთობებზე თავის ცოლთან - ბერტასთან, სიყრმის მეგობართან - რობერტ ჰენდთან და ახალგაზრდობისდროინდელ შთაგონებასთან - ბეატრიჩე ჯასტისთან. კლასიკური სამკუთხედი აქ ოთხკუთხედითაა შეცვლილი. რაუენი ცდილობს, გათავისუფლდეს დრომოჭმული მორალური პირობითობებისგან და ამ ფონზე ჯოისი ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების საკითხს იკვლევს.

16 გვისტო

აფიშა

კინო

"ტედი"

რეჟისორი: სეთ მაკფარლეინი
როლებში: მარკ უოლბერგი, მილა კუნისი, სეთ მაკფარლეინი, ჯოელ მაკჰეილი, ჯოვანი რიბიზი, პატრიკ ბარბერტონი
ჟანრი: კომედია, ფანტასტიკა
ხანგრძლივობა: 106 წთ
ამირანი - 13.15; 15.25; 17.35; 19.45;
რუსთაველი - 15.15; 17.30; 20.00; 22.30;

"ბეთმენი: შავი რაინდის აღზევება"

რეჟისორი: კრისტოფერ ნოლანი
როლებში: კრისტიან ბეილი, ტომ ჰარდი, ლიამ ნისონი, მორგან ფრიმანი
ჟანრი: მძაფრსიუჟეტიანი დრამა
ხანგრძლივობა: 165 წთ
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 12.30; 15.45; 19.30; 22.45
რუსთაველი - 12.00; 15.15; 19.00; 22.30

"ციდან სამ მეტრზე"

რეჟისორი: ფერნანდო გონსალეს მოლინა
როლებში: მარიო კასასი, მარია ვალვერდე, კლარა ლაგო, ალვარო სერვანტესი, ანდრეა დურო, ლუის ფერნანდესი
გახმოვანება: რუსული
რუსთაველი - 12.00; 22.54

"ადამიანი ობობა 3" - D3

რეჟისორი: მარკ უები
როლებში: ენდრიუ გარფილდი, ემა სტოუნი, რის ივანსი,
ემბეტ დევიდჩი, მარტინ შინი, სალი ფილდი
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 12.15
რუსთაველი - 14.00; 17.15

"ფიფქია და მონადირე"

რეჟისორი: რუპერტ სანდერსი
როლებში: კრისტენ სტიუარტი, კრის ჰემსუორტი, შარლიზ ტერონი, სემ კლაფლინი, სემ სპრუელი, იან მაკშეინი
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 15.45
რუსთაველი - 15.00; 20.00; 22.30

"რომის არდადეგები"

რეჟისორი: ვუდი ალენი
როლებში: ვუდი ალენი, პენელოპა კრუსი, ჯესი აიზენერგი, ალეკ ბოლდუინი, რობერტო ბენინი, ფლავიო პარენტი, ჯუდი დევისი
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 15.00; 20.15; 22.45

გალერეა

თიბისი გალერეა

მამია მალაზონიას პერსონალური გამოფენა

ეროვნული გალერეა

"პეტრე ოცხელი - რეტროსპექტივა" გამოფენა ეძღვნება პეტრე ოცხელის დაბადებიდან 105 წლის იუბილეს

დეჟა ვიუ

ზურაბ თალაკვაძე

კობი ბრაიანტი და პო გასოლი

"ლეიკერსი" შეიცვალა. კალიფორნიაში უკვე ორი ფრენჩაიზი ცელქობს და ლოს ანჯელესი სტივენ სპილბერგის გადასაღები მოედანია. პრინციპში, სულ იყო და ახლა ეს თემა უფრო გაიშალა. "კლიპერსი" კრის პოლის, ბლეიქ გრიფინის და ბევრი კარგი ბიჭის (ჩონსი ბილაფსი, კეირონ ბატლერი, ჯამალ კროუფორდი, გრანტ ჰილი, დეანდრე ჯორდანი, კენიონ მარტინი, ლამარ ოდომი, რონი ტურიაფი) გაჩერებაა. "ლეიკერსიც" აზრზე მოვიდა და ეს პროცესი უფრო გაპიარებული, კალიფორნიული, ჰოლივუდური იყო. კობი ბრაიანტი და პო გასოლი ლონდონში ჩიფსების დიეტაზე დასხდნენ და ბოსები ახალი გუნდის თარგებზე მუშაობდნენ. ახალი გუნდი, რომელმაც ბევრი უნდა მოიგოს. ბევრი და სწრაფად. ლოს ანჯელესში პერსპექტივაზე არ მუშაობენ.

დუაიტ ჰოვარდი აქ არის. ამ გენერაციის შაკი პრობლემებს მოაგვარებს.

სტივ ნეში ჰარისონ ფორდის ვილაზე ჯეკს წრუპავს. სტივიც პრობლემებს აგვარებს.

მოხუცების თავშესაფრიდან დაუძახეს მორცხვ პენსიონერს, ენტუან ჯეიმისონს.

ეს ბანდა მაიკ ბრაუნის სქემებში უნდა ჩაჯდეს და "ლეიკერსი" დასავლეთის "მაიამია". ლებრონ ჯეიმსის, დუეინ უეიდის, კრის ბოშის, რაშარდ ლიუისის და რეი ალენის ბანდა უცენტროდ ცენტრებს კლავს. ანგელოზების ქალაქში ერთი თეთრი მარტორქა სულ უნდა ყოფილიყო. შაკის შემდეგ, როლში ენდრიუ ბაინუმი შევიდა. შარშან თითქმის ბოლომდე შევიდა და ბოსებმა ჰოვარდს დაუძახეს. ბაინუმი უკვე "ფილადელფიაშია".

ეს "ლეიკერსი" ოთხი დიდი ბიჭის (კობი, ჰოვარდი, ნეში, პო გასოლი) ნიჭსა და შნოზე წამოწვა. იგივე სიტუაცია იყო რვა წლის წინ.

2004. კობის და შაკს კარლ მელოუნი და გარი პეიტონი მიუყვანეს. ბიჭებო, არ იჩხუბოთ, ეს ორი პენსიონერი გამოიყენეთ და შეუბერეთო, მიუმესიჯა კობის და შაკს "ლეიკერსის" ბოსმა, მიტჩ კაპჩაკმა.

ის "ლეიკერსი" ცოტა სხვა ამბავში იგებდა. შაკი იყო უილტ ჩემბერლენი და კობი მომენტებში ჯორდანობდა. მეორე ეშელონში ჯექსონმა მიიღო ფლეი-ოფის ტინტო ბრასი, მისტერ რობერტ ორი. მიიღო "სელტიქსის" კაპიტანი რიკ ფოქსი, ყველგან ჭკვიანი და კარგი თანაგუნდელი ჰორას გრანტი, მოქნილი დეევეინ ჯორჯი, ერთჯერადი და აზროვნებაზე აცრილი ტოვარიშჩ მედვედენკო. კობის მიტჩ რიჩმონდიც აჩუქეს. მანამდე პრობლემებს კიდევ ერთი სნაიპერი, გლენ რაისი აგვარებდა.

ის "ლეიკერსი" ზედიზედ სამჯერ იგებს სუპერფინალს (2000-02) და მერე გუნდი ტიმ დანკანის "სან ანტონიომ" 4:2 გააჩერა. 2003, დასავლეთის გარჩევები, დანკანი და დევიდ რობინსონი კობის ცრემლებით მტვრიან ტექსასს ამშვიდებენ და "სან ანტონიომ" იმ სეზონში ყველა დარიგება მოიგო. "ლეიკერსი" უნდა შეიცვალოს. და ბოსებმა მელოუნს, ცოტა ხანში პეიტონსაც დაუძახეს. ფოკუსი არ გამოვიდა. "ლეიკერსმა" გაშიფრა "სპურსი" 4:2 და ბოლო სერია "დეტროიტთან" 1:4 დატოვა. მელოუნმა კარიერა დახურა და პეიტონი შაკთან ერთად გადავიდა "მაიამიში", სადაც ჩემპიონი გახდა (2006, "დალასთან" 4:2). ჯექსონი წავიდა. დიდი მწვრთნელი ერთი სეზონით ისვენებს და "ლეიკერსში" რუდი ტომიანოვიჩს დაუძახეს. რუდიმ "ჰიუსტონში" ორი ფინალი (1994-95) ჰაკიმ ოლაჯუონით მოიგო. "ლეიკერსში" ვერ გაქაჩა და ნახევარი სეზონის შემდეგ ბოსებმა რუდი გაუშვეს. სეზონი ჩავარდა და "ლეიკერსში" ფილ ჯექსონი დაბრუნდა.

დღეს გუნდის მწვრთნელი მისტერ ბრაუნია. "კლივლენდში" ბრაუნმა ლებრონთან და ნორმალურ ხალხთან ერთად ვერაფერი ვერ მოიგო. ერთი რეიდი სუპერფინალში (2007) და იქ "კლივლენდი" გრეგ პოპოვიჩმა კუთხეში დააყენა. "სან ანტონიო" სერიას 4:0 იგებს. ცუდი გასახსენებელი ამბებია. გრეგმა ბრაუნი გაშიფრა და ბრაუნმა გრეგის ჩანაწერები წამოიღო. გამოადგება.

შარშან ჯერ კობის და ბრაუნის გარჩევები წავიდა და ბრაიანტმა მწვრთნელს მოსაფიქრებლად და გუნდის აზრზე მოსაყვანად დრო მისცა. ვერ გამოიყენა ბრაუნმა გასოლის უნივერსალიზმიც და პო რაღაც ამბავში ზედმეტი იყო. ეს პრობლემაც მოგვარდა. რონ არტესტი მწვრთნელებს არ უსმენს და კობის ხათრით ბრაუნს მოუსმინა. რონმაც ვერაფერი ვერ გაიგო და გუნდი დასავლეთის ნახევარფინალში "ოკლაჰომამ" გააჩერა. კევინ დიურანის გუნდი, უბრალოდ, იმ მომენტში უკეთესი იყო.

ძველ "ლეიკერსში" კობი შაკთან აღარ ძმაკაცობდა. ბრაიანტს გუნდში ბოლო სეზონი ჰქონდა, ორგანიზაციას კობისთვის ახალი კონტრაქტი უნდა მიეცა და შაკსაც ახალი ხელშეკრულება უნდოდა. ორივეს დატოვება ძნელი იყო. კობი დარჩა, შაკი "მაიამიში" წავიდა. კობის იმ სეზონში კიდევ ერთი პრობლემა ჰქონდა. მისტერ ბრაიანტი ლიფტში, მიმტანთან სექსის გამო ცუდი ბიჭი გახდა და ოცწლიან პატიმრობას გადაურჩა. კობი სიტუაციიდან გამოიყვანეს, ბრაიანტმა პირდაპირ ეთერში იქვითინა, ცოლს მკერდზე აკოცა და შეურიგდა. დღეს კობი ლიფტში შესვლის დროს სექსზე არ ფიქრობს. ბრაიანტი შეიცვალა და შეიცვალა "ლეიკერსიც".

"ლეიკერსიც" უფრო მშვიდი ბენდია. გარი პეიტონი ფილ ჯექსონის სამკუთხედში ვერ ჯდებოდა და წუწუნებდა. დერეკ ფიშერსაც საკონტრაქტო სეზონი ჰქონდა და პეიტონის შემცვლელის როლი არ მოსწონდა. დერეკმაც წიკვინი დაიწყო. მელოუნს ფინალის მოგება უნდოდა და კარლმა "დეტროიტთან" სერია ტრავმის გამო ვერ დაამთავრა. ჯანმრთელი მელოუნით და მშვიდი პეიტონით, "ლეიკერსი" ფინალს წამოიღებდა.

ჰოვარდთან და გასოლთან ერთად კობი უფრო მშვიდად იქნება.

დუაიტი ლიგის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო დამცველია. მომენტებში, იშვიათად იჭრება და უცებ კარგი დუაიტი ხდება. სტივ ნეში ისევ სტივ ნეშია. 12-13 ქულა, ათამდე პასი, სამიანების კარგი პროცენტი და ყველაფერი საუკეთესო. ბრაიანტმა ორი კარგი ბიჭი მიიღო.

დუაიტ ჰოვარდი სერიოზული ტიპია

მელოუნი "ლეიკერსში" მისვლამდე, წინა სეზონში (2003), "იუტასთან" ერთად 20.6 ქულას, 7.8 მოხსნას, 4.7 პასს და 36.2 წუთს იღებდა. "ლეიკერსში" კარლი მესამე ოფცია იყო და შემცირებულ დროში ფორვარდმა 13.2 ქულა, 8.7 მოხსნა და 3.9 პასი დაირტყა. მელოუნმა სტატისტიკა გადაკეცა და ჩემპიონობაზე გადაერთო. არ გამოვიდა. "ლეიკერსი" გაიშიფრა და კარლი ტრავმით თამაშობდა. რეგრესი ჰქონდა პეიტონსაც. ნეში და ჰოვარდი ურეგრესოდ მოაგვარებენ ყველაფერს. გასოლს მშვენიერი სეზონი ექნება. ესპანელი ლონდონში ძალიან კარგი იყო და კობიმ ეს იცის. გასოლი გამოსაყენებელია.

საინტერესო პერსონაჟია ჯეიმისონიც. ამ სეზონში "ლეიკერსი" ენტუანს 15 მილიონს გადაუხდის და ფორვარდი თავისუფალი აგენტი გახდება. ჯეიმისონი ყველა გუნდში დადებითია. კალათბურთსაც დადებითად თამაშობს. კარიერით, ენტუანს რეგულარულის 985 თამაშში 19.5 (19 246) ქულა, 7.9 (7 740) მოხსნა, 1 071 ზუსტი სამიანი აქვს აღებული. ჯეიმისონი "დალასში" (2003/04) რეგულარულის საუკეთესო სათადარიგო გახდა. იმ სეზონში კიდევ ერთ ენტუანს, უოკერს ცვლიდა და, ძირითადად, უოკერზე უკეთესი, სანდო იყო. ჯეიმისონი უპრობლემოდ აიღებს 20 000 ქულას, ალბათ, ვერ მივა 10 000 მოხსნამდე და კარიერას მშვიდად დახურავს. ენტუანს "ლეიკერსში" კარგი სეზონი უნდა ჰქონდეს. ბოსებმა ეს იციან და ბოსები ჯეიმისონში სიმშვიდეს ხედავენ. კობის ენტუანი მოსწონს. უკვე კარგია.

"ლეიკერსი" შეიცვალა. კალიფორნიაში უკვე ორი სერიოზული ფრენჩაიზი მუშაობს და ლოს ანჯელესი სტივენ სპილბერგის გადასაღები მოედანია. პრინციპში, სულ იყო და ახლა ეს თემა უფრო გაიშალა. "კლიპერსი" პროფესორი კრის პოლის, მანიაკი ბლეიქ გრიფინის და ბევრი კარგი ბიჭის (ჩონსი ბილაფსი, კეირონ ბატლერი, ჯამალ კროუფორდი, გრანტ ჰილი, დეანდრე ჯორდანი, კენიონ მარტინი, ლამარ ოდომი, რონი ტურიაფი) გაჩერებაა. "ლეიკერსიც" აზრზე მოვიდა და ეს პროცესი უფრო გაპიარებული, კალიფორნიული, ჰოლივუდური იყო. კობი ბრაიანტი და პო გასოლი ლონდონში ჩიფსების დიეტაზე იყვნენ და პარალელურად, ბოსები ახალი გუნდის თარგებზე მუშაობდნენ. ახალი გუნდი, რომელმაც ბევრი უნდა მოიგოს. ბევრი და სწრაფად. ლოს ანჯელესში პერსპექტივაზე არ მუშაობენ.

მაიკ ბრაუნს კარგი ხუთეული ჰყავს.

პირველ ნომერზე სტივ ნეში იდგება. ამ სეზონში სტივი 11 689 062 დოლარს იღებს. ნეში კარიერით - 16 649 ქულა, 9 916 პასი. ელ-ეიში კანადური შოუთაიმი მოდის.

მეორე ნომერზე კობია. კობი ანტარქტიდაშიც კობია. 25 244 493 დოლარი დიდი კუშია. ბრაიანტი კარიერით - 29 484 ქულა, 6 142 მოხსნა, 5 418 პასი.

რონ არტესტი (ქალაქურად, Metta World Peace) ძველი ძველი ბიჭია. სეზონში თითქმის 7 მილიონს ურიცხავენ. არტესტს კარიერაში ბევრი ტექნიკური და 11 757 ქულა აქვს. წავა.

პო გასოლი ესპანეთში ტიმ დანკანია. დახვეწილი მოძრაობით, თავისუფალი აზროვნებით, სიბრძნით. გასოლს ამერიკულ ამბებში 14 862 ქულა და 7 335 მოხსნა აქვს. მეტი ექნება. 18 714 150 დოლარიც საინტერესოა.

რჩება ჰოვარდი. და ჰოვარდის შემდეგ სამწამიანში არაფერი არ რჩება. დუაიტი წელს 18 091 770 დოლარს წამოიღებს. დუაიტს რვა რეგულარულში 11 435 (18.4) ქულა, 8 072 (13.0) მოხსნა, 1 344 (2.2) დაფარება აქვს. "ლეიკერსმა" რეალურად ამ გენერაციის შაკი დაირტყა. და ბოსები ამას გამოიყენებენ.

"ლეიკერსი" შეიცვალა. დასავლეთში სწრაფი, დიურანის "ოკლაჰომა" და პენსიონერების "სან ანტონიო" დარჩნენ. "ლეიკერსმა" ეს გასაუბრებები უნდა გაიაროს და მერე ყველაფერი მოგვარდება.

რა ღირს ოლიმპიური ოქრო

პირველი გვერდიდან

ან, შესაძლოა, ბრიტანეთმა ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე იმდენი დახარჯა, რომ ოლიმპიური ჩემპიონების დასაჯილდოებლად ფული აღარ დარჩა. ცნობისთვის: ბრიტანელმა ათლეტებმა 29 ოქრო მოიგეს.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 0

22.განა - 10 000 დოლარი

განის მთავრობა სპორტსმენებს ბონუსის სახით 10 000 დოლარს დაჰპირდა. ლონდონში 8 განელი ასპარეზობდა. მათ მედლებიც კი მოიგეს, თუმცა, ოქროს ვერც ერთი ვერ შესწვდა. განის ხელისუფლებას გადასახდელი არაფერი აქვს.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 0

21.გერმანია - 19.500

გერმანია ოლიმპიურ ჩემპიონებს 19 500 დოლარს დაჰპირდა. გერმანიის ნაკრებმა 11 სახეობაში მოიგო ოქრო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთი სახეობა გუნდურია, საერთო ჯამში სულ 45 სპორტსმენია, ვისაც ოლიმპიური ოქრო გადაეცა.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 877 500

20.კანადა - 20 150

კანადის ნაკრებისთვის ლონდონის ოლიმპიური თამაშები წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. კანადელებმა საერთო ჯამში 18 მედალი მოიგეს, თუმცა, აქედან მხოლოდ ერთი იყო ოქროსი.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 20 150

19.ავსტრალია - 20 300

ავსტრალიამ ამ ოლიმპიადაზე სულ შვიდ სახეობაში მოიგო ოქრო, თუმცა, საერთო ჯამში 18 ოლიმპიური ჩემპიონი დაუგროვდა. ცურვაში გამარჯვებულებს გარკვეული ბონუსებიც დაემატათ.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 620 900

18.აშშ - 25 000

აშშ-ის ნაკრებმა ამ ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე მეტი ოქრო მოიგო. ამერიკელებს სულ 147 ოქროს მედალოსანი დაუგროვდათ.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 3 675 000

მაიკლ ფელპსს, რომელსაც კარიერის მანძილზე 18 ოქრო, ორი ვერცხლი და ორი ბრინჯაო აქვს მოგებული, მხოლოდ მედლებში ბონუსის სახით ნახევარ მილიონ დოლარზე მეტი აქვს მიღებული.

17.დომინიკის რესპუბლიკა - 30 000

პირველად ისტორიაში დომინიკის რესპუბლიკა ოქროს მედალოსანს ასეთ სოლიდურ თანხას შეჰპირდა. ლონდონში ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა სულ ორი მედალი მოიგეს, მათ შორის ერთი - ოქროსი.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 30 000

16.იაპონია - 38 200

იაპონიამ შვიდი ოქრო მოიგო და შვიდივე ინდივიდუალურ სახეობაში. იაპონიის ქალთა ნაკრებს საფეხბურთო ტურნირის ფინალში აშშ-ის ნაკრები რომ დაემარცხებინა, იაპონიის მთავრობას გაცილებით მეტის გადახდა მოუწევდა.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 267 400

15.მექსიკა - 37 000

მექსიკამ ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე სულ შვიდი მედალი მოიგო, აქედან მხოლოდ ერთი - ოქროსი, თუმცა, ეს ოქრო მექსიკელებმა ფეხბურთში მოიგეს. ასე რომ, გადასახდელი თანხა სოლიდურია.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 666 000

14.ჩინეთი - 51 000

ოფიციალურად არ არის ცნობილი, თუ რამდენს გადაუხდიან ჩინელ ოლიმპიურ ჩემპიონებს, თუმცა, ერთ-ერთმა ინგლისურენოვანმა ჩინურმა გაზეთმა დაბეჭდა, რომ თანხა 51 000-ს უტოლდება. ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ჩინეთმა 28 სახეობაში მოიგო ოქრო და მთლიანობაში 56 ოქროს მედალოსანი დაუგროვდა.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 2 856 000

13.სამხრეთ აფრიკა - 55 000

სამხრეთ აფრიკამ ლონდონში სამ სახეობაში მოგო ოქრო, აქედან ერთი - გუნდურში. მთლიანობაში ექვსმა სამხრეთაფრიკელმა სპორტსმენმა უნდა მიიღოს ოქროსთვის ბონუსი.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 330 000

12.საფრანგეთი - 65 000

ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე სულ 30 ოლიმპიური ჩემპიონი იყო საფრანგეთიდან. ფრანგებმა 11 სახეობაში გაიმარჯვეს.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 1 950 000

11.უკრაინა - 100 000

უკრაინის ნაკრებმა მედლების ცხრილში მეთორმეტე ადგილი დაიკავა. 6 სახეობაში უკრაინელები ჩემპიონები გახდნენ, მთლიანობაში კი ცხრა უკრაინელმა მოიგო ოლიმპიური ოქრო.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 900 000

10.რუსეთი - 135 000

მედლების ცხრილში რუსეთი აშშ-ის, ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის შემდეგ მეოთხე ადგილზე გავიდა, დანახარჯების მხრივ კი რუსები ამ სამეულს საგრძნობლად უსწრებენ. რუსეთის ნაკრებს მთლიანობაში 50 ოქროს მედალოსანი ჰყავს.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 6 750 000

9.ლატვია - 172 000

ლატვიამ სულ სამი მედალი მოიგო, აქედან ერთი - ოქროსი.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 172 000

8.იტალია - 182 000

ევროპაში არსებული ეკონომიური კრიზისის მიუხედავად, იტალიამ ოქროზე სოლიდური ბონუსი დააწესა. იტალიის ნაკრებმა ოლიმპიადა რვა ოქროს მედლით დასრულა. მთლიანობაში კი 16-მა იტალიელმა წაიღო სახლში ოქრო.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 2 912 000

7.ყაზახეთი - 250 000

ყაზახეთმა ოლიმპიური თამაშები შვიდი ოქროთი დაასრულა, შვიდივე ინდივიდუალურ სახეობებში. სავარაუდოდ, ამ ქვეყნის ხელისუფლებას თანხის გადახდა არც იმ შემთხვევაში გაუჭირდებოდა, სპორტსმენებს ორჯერ მეტი ოქრო რომ მოეგოთ.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 1 750 000

6.არაბეთის გაერთიანებული საემიროები - 272 000

არსებობის მანძილზე არაბეთის გაერთიანებულ საემიროებს მხოლოდ ერთი ოქრო აქვს მოგებული. ეს 2004 წელს მოხდა. წლევანდელ ოლიმპიადაზე ამ ქვეყნის წარმომადგენლები ოქროსთან ახლოსაც ვერ მივიდნენ.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 0

5.ფილიპინები - 340 900

კიდევ ერთი ქვეყანა, რომელსაც საპრიზო ფონდის გაზრდა ასტრონომიულ თანხამდე შეეძლო. ფილიპინებს ოქროს მოგების შანსი არ ჰქონიათ.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 0

4.მალაიზია - 315 000

მალაიზიას ოქროს შანსი ნამდვილად ჰქონდა. მეტიც, წესით, ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მალაიზიელ ბადმინტონისტებს ორი ოქრო უნდა მოეგოთ, მაგრამ მხოლოდ ვერცხლს დასჯერდნენ.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 0

3.აზერბაიჯანი - 500 000

აზერბაიჯანმა ათი მედალი მოიგო, აქედან ორი ოქროსია.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 1 000 000

2.სინგაპური - 800 000

მაგიდის ჩოგბურთში სინგაპურელები ოქროს გეგმავდნენ, მაგრამ ბრინჯაოს დასჯერდნენ.

საერთო ჯამში გადაიხადეს - 0

1.საქართველო - 1 200 000

ლაშა შავდათუაშვილმა ჯეკპოტი მოხსნა.

მუამბამ საფეხბურთო კარიერა დაასრულა

"ბოლტონის" ნახევარმცველმა ფაბრის მუამბამ, ექიმების რჩევით, საფეხბურთო კარიერის დასრულებაზე განაცხადა.

24 წლის ფეხბურთელს მარტის შუა რიცხვებში, ინგლისის თასის მეოთხედფინალში, ლონდონის "ტოტენჰემთან" თამაშისას გული ორი საათით გაუჩერდა.

კასანო შიშმა შეიპყრო

მილანის "მილანის" თავდამსხმელმა ანტონიო კასანომ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე, შესაძლოა, კლუბი შეიცვალოს. Football Italia--ს ცნობით, მიმდინარე კვირის ბოლომდე ფეხბურთელი თავისი მომავლის განსახილველად შეხვდება იტალიის ვიცეჩემპიონი კლუბის ხელმძღვანელობას. 30 წლის კასანო შიშობს, მომავალ სეზონში სათადარიგოებში ყოფნა არ მოუხდეს.

ცოტა ხნით ადრე ითქვა, რომ ვეტერანი იტალიელი, შესაძლოა, "რომას" ფეხბურთელ მარკო ბორელოში გაიცვალოს.

ისლამისტები ოლიმპიური მედლების ჩამორთმევას მოითხოვენ

რადიკალი ისლამისტები ტუნისის ხელისუფლებისგან მოითხოვენ მედლების ჩამორთმევას ორი პრიზიორისთვის, არაისლამური ქმედებისა და ჩაცმულობისთვის, რაც მათ მიერ დემონსტრირებული იყო ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე.

რადიკალები, სოციალური ქსელების დახმარებით, მიუთითებენ ვერცხლის მედალოსანზე 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში - ჰაბიბუ გრიბაზე, რომელსაც ფეხები მეტისმეტად ჰქონდა მოშიშვლებული.

მეორე ოლიმპიელი, რომელსაც, ისლამისტების მოსაზრებით, აგრეთვე უნდა ჩამოერთვას მედალი, არის მოცურავე უსამა მელული, რომელმაც 10 კილომეტრზე ღია წყალში ცურვაში ჩემპიონობასთან ერთად, 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. საქმე ის არის, რომ უსამას შეჯიბრების წინ დაულეავია წვენი, ხოლო შეჯიბრება მიმდინარეობდა რამადანის თვეში - მარხვა მას წვენის დალევის ნებას არ აძლევდა.

ტუნისელთა მედლების მთელი მონაგარი - სამი მედალი - სწორედ ამ ორ სპორტსმენზე მოდის.

გია ნაცვლიშვილი: "პარადოქსია, რომ შუკვანი სასამართლოში ჩივის"

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, გია ნაცვლიშვილს, ძიუდოისტ ბეთქილ შუკვანის განცხადება მსაჯის გადაწყვეტილების საერთაშორისო სასამართლოში გასაჩივრების თაობაზე პარადოქსად მიაჩნია. მისი თქმით, შუკვანს სპორტული საარბიტრაჟო კომიტეტისთვის უნდა მიემართა და არა სასამართლოსთვის.

ამასთან, ნაცვლიშვილისთვის გაუგებარია, თუ რას ასაჩივრებს სპორტსმენი. "საინტერესოა, რას აპროტესტებს, რომ 4 წამით ადრე დათმო მოგებული შეხვედრა?" - განაცხადა ნაცვლიშვილმა.

ამასთან, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი სიცრუეს უწოდებს შუკვანის ბრალდებას სპორტსმენზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ. მისი თქმით, სპორტსმენზე ზეწოლის საფუძველი არ არსებობდა და ამას ვერც ვერავინ შეძლებდა.

ნაცვლიშვილის თქმით, ერთ-ერთი, ვინც შუკვანს თანაუგრძნობდა, იყო გია უდესიანი, რომელიც სპორტსმენმა ზეწოლაში დაადანაშაულა.

ქართველი ძიუდოისტი ბეთქილ შუკვანი ლონდონში, საერთაშორისო სასამართლოში, მსაჯის გადაწყვეტილებას ასაჩივრებს. მსაჯის გადაწყვეტილებასთან ერთად აპირებს გააპროტესტოს ოლიმპიური კომიტეტის სახელისუფლებო გავლენის ქვეშ ყოფნა და ზეწოლა ოპოზიციურად განწყობილ სპორტსმენებზე.

შუკვანის თქმით, სპორტსმენს ხელის თითის ტკივილის გამო ორთაბრძოლის დროს სისხლი წასკდა, მსაჯმა ბრძოლა არ გააჩერა და თითის გადახვევის საშუალება არ მისცა.

ბეთქილ შუკვანის განცხადებით, მან მსაჯს სისხლიანი ხელი აჩვენა, რის შემდეგაც მსაჯი ვალდებული იყო, ბრძოლა შეეჩერებინა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. შუკვანს ორი წარმატებული გდება გაუუქმა და სპორტსმენმა თამაში წააგო.

ბეთქილ შუკვანის თემას გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც, რომელმაც განაცხადა, რომ ერთ-ერთმა ოლიმპიელმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა სასტუმროს ფანჯრიდან სიმაღლიდან ხტომაში. მიხეილ სააკაშვილის განცხადება შუკვანის ბრალდებას მოჰყვა, რომელმაც აღნიშნა, რომ ლონდონში ოლიმპიური კომიტეტის წევრებმა სახლში მიაკითხეს, რის შემდეგაც მან მათთან შეხვედრას თავი აარიდა, ფანჯრიდან გადაძვრა და სამშობლოში ახლობლების დახმარებით დაბრუნდა.

ცოტა ხნის წინ ბეთქილ შუკვანმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილი ლონდონის ოლიმპიადაზე მასზე განხორციელებულ ზეწოლაში დაადანაშაულა, მინისტრმა კი საპასუხოდ განაცხადა, რომ დიუსელდორფში სპორტსმენის ქურდობას ხელი დააფარა.

www.news.ge

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა ხორვატიასთან ფრე - 1:1 ითამაშა

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ხორვატიასთან სტუმრად მოპოვებული გამარჯვებით დაიწყო და ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტთან მოპოვებულმა სამი ქულამ ჯგუფიდან გასვლის იმედი გაჩინა. მაგრამ მერე შვეიცარიასთან და ესპანეთთან ნაწვნევმა მწარე მარცხებმა ეს იმედიც მოკლა და ნაკრების მთავარ მწვრთნელ ოთარ გაბელიას თანამდებობის დატოვების სურვილი გაუჩინა.

ქართველ 21-წლამდელებს ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე ჩაუდგა სათავეში და დღეს ხორვატებთან მისი ოფიციალური დებიუტიც ვიხილეთ. უთქმელობა არ იქნება - სტუმრების თავკაცი ჩვენთვის კარგად ნაცნობი ივო შუშაკია და ამ ორი გამოცდილი სპეციალისტის ახლაგაზრდულმა გუნდებმა ქულები გაიყვეს. მეოცე წუთზე დვით სხირტლაძის გოლს, 37-ზე კრამარიჩმა უპასუხა და ქართულ-ხორვატული დაპირისპირებაც ფრედ დასრულდა - ასეთ შედეგზე ალექსანდრე ჩივაძე თავიდანვე ყაბულს იყო.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები: ნადირაძე, ტვილდიანი, გრიგალაშვილი, კვერკველია, კობახიძე, ჯიღაური, ძალამიძე (კოხია 71'), ჭანტურია, პაპავა, კვეკვესკირი (ჩაფიძე 46'), სხირტლაძე (გაბაშვილი 80').

მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე.

ხორვატიის ახალგაზრდული ნაკრები: სლუგა, ვრსალჟკო, ტიჩინოვიჩი, ბუბნიჩი, კელიჩი, ანდრიაშევიჩი, ადემი, კრამარიჩი, კოპი, კაკტაში, მალიკა.

მწვრთნელი: ივო შუშაკი.

მსაჯი: ანატოლი აბდულა (უკრაინა).

სხირტლაძეს ყუმბარისებურ დარტყმას გოლი მოჰყვა

გიგი ბასარიძის ფოტო

სეოკ-ში შვიდ ოლიმპიურ მედალს უპრეცედენტოდ აფასებენ

გიგა გურასაშვილი

გია ნაცვლიშვილმა ლონდონში ქართველ ოლიმპიელთა შედეგები უპრეცედენტოდ შეაფასა

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში (სეოკ-ი) ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ნაკრების შედეგები შეფასდა. სეოკ-ის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილის თქმით, შვიდი მედალი ქართული ოლიმპიური მოძრაობისთვის უპრეცენდენტოა.

"ვფიქრობ, უფრო მეტის მიღწევა შეგვეძლო. მიუხედავად ამისა, ჩვენს ასპარეზობას, მაინც კარგად შევაფასებდი. აღსანიშნავია, რომ 35 სპორტსმენიდან 27 ახალბედა იყო, რამაც შედეგზეც იმოქმედა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ახალგაზრდები მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე (რიო დე ჟანეიორო-2016) ბევრად უკეთ იასპარეზებენ, - მომავალს იმედიანად უყურებს გია ნაცვლიშვილი. - სხვათა შორის, ლონდონში გამგზავრებამდე, სწორედ 7-8 მედალს ვვარაუდობდით. მეტს ველოდით ვარლამ ლიპარტელიანისგან და ბეთქილ შუკვანისგან.

რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშებისთვის უფრო უკეთ მოვემზადებით. ძალოსნობაში, მშვილდოსნობასა და ფარიკაობაში, მძლეოსნობასა და ცურვაში უკეთესი შედეგები გვექნება. ნყალბურთში, კალათბურთში და შვიდკაცა რაგბშიც უნდა გავძლიერდეთ და ლიცენზიები მოვიპოვოთ".

გია ნაცვლიშვილმა ძიუდოს ეროვნული ფედრეაციაში შესაძლო საკადრო ცვლილებებზეც ისაუბრა. სეოკ-ის პრეზიდენტის თქმით, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი ალექსიძე, ტაიმ-აუტის აღებას აპირებს - პრეზიდენტობაზე კენჭის ყრა არაა მის გეგმებში. ამასთან ჯერჯერობით უცნობია მისი შემცვლელის ვინაობა. აი, ძიუდოისტთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ პეტერ ზაიზენბახერთან დაკავშირებით კი ალექსიძე ამბობს, რომ მისი ძიუდოს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელად დანიშვნა სურთ.

სეოკ-ის პრეზიდენტი ბეთქილ შუკვანის თემასაც შეეხო. უფრო სწორად იმ ბრალდებას, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებმა მსაჯებზე ზეწოლა მოახდინეს, რათა შუკვანს არ მოეგო.

"ყოველივე უდიდესი სისულელეა. გულწრფელად რომ გითხრათ, შუკვანს პოლიტიკასა და "ქართულ ოცნებაზე" ნაკლები რომ ეფიქრა, ლონდონში ბევრად უკეთეს შედეგს მიაღწევდა. ახლა კი მსაჯების გადაწყვეტილებაც რომ გაასაჩივროს, შედეგი მაინც იგივე დარჩება.

მოკრივე მერაბ თურქაძის მოჭარბებულ წონაზეც გეტყვით, რომ საღამოს შესაბამისი წონა ჰქონდა, ხოლო ვახშმის შემდეგ, 700 გრამი მოიმატა და დილის აწონვაზე, ზედმეტი მასა დააფიქსირა. თუმცა, ლონდონის თამაშებზე მუხლის ტრავმის გამო, ვერ იასპარეზა".

გამომცემლობა
ინტელექტი
გთავაზობთ

ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი

მსოფლიო კლასიკოსები და ქართველი მთარგმნელები

შედევრების თარგმნის უწყვეტი ტრადიცია



დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 47 55 54
inteleqti@caucasus.net
info@intelekti.ge
www.intelekti.ge
www.intelekti.ge